პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 133 ხუთშაბათი, 15 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 15 ივნისი 1922 წ. № 133

შაბათს, 17 ივნისს, დილის 9 საათზე საქართველოს კომ. პარტიის

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იწვევს ყველა რაიონული კომიტეტების მდივნების და რაიონული ორგანიზატორების თათბირს

თათბირი შესდგება თბილისის კომიტეტის ბინაზე.
ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.
თბ. კ. საორ. განყ. გამგე რუბენი.

სასურსათო თათბირი

12 ივნისს გაიხსნა საქართველოს სასურსათო თათბირი. თათბირის მიზანია აღნუსხოს, ჯამი გაუკეთოს მთელ იმ გამოცდილებას, რომელიც შეძენილია სასურსათო გადასახადის საქმეში ერთი წლის განმავლობაში, გაშუქოს მთელი რიგი საკითხები, რომელნიც დაკავშირებულია ერთიანი ნატურგადასახადის შემოღებასთან.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდის მძიმე სასურსათო კრიზის და ფინანსების საქმეც არ არი ჯერჯერობით იმდენად მოგვარებული, რომ ეხლავე შესაძლებელი იყოს მხოლოდ ფულის მეურნეობაზე დაყრდნობა და მით სახელმწიფოს უამრავ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,—ერთიან ნატურგადასახადს და მის მიზან შეწონილად გატარებას ცხოვრებაში, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ.

წარსულ წელში მრავალი დეფექტი ახლდა თან, როგორც ჩვენი სასურსათო გადასახადის სისტემას, ისე მის რეალიზაციას. რთული და მრავალ სახიანი ნატურ გადასახადი, სხვადასხვა წვრილმანი სასოფლო ნაწარმოების გაღება ობიექტიურად და პსიქოლოგიურადაც ადვილი არ აღმოჩნდა მოსახლეობისათვის, მის პრაქტიკულ განხორციელებამაც ბევრი უხერხულება დ გაუგებრობა გამოიწვია, ბევრი ხარჯები და შრომა შეიწირა.

ამიტომაც იყო, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ ძველი სასურსათო გადასახადი გამარტივა და შესცვალა ერთიანი ნატურგადასახადით, რომლის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ სასოფლო მეურნეობის ყოველი სახის გადასახადის ძირითად ერთეულად გამოცხადებულია ხორბლეული. ეს საერთო წესია, ხოლო ამასთან არ არი უარყოფილი, სადაც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვს, გადასახადის ამ ძირითადი სახის შეცვლა სხვა პროდუქტებით და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფულითაც კი, სათანადო ორგანოს მიერ დაწესებულ ეკვივალენტის და ნორმის თანახმად.

ასეთი გადასახადი სავსებით მისაღებია მეურნე გლეხკაცობისათვის, ის საგრძნობლად აადვილებს მის მდგომარეობას, ამსუბუქებს მის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე, აგრეთვე ანგარიშს უწევს სასოფლო მეურნეობის განვითარების ინტერესებს.

მაგრამ დაწერილ კანონს, თუნდაც ის იდეალურად იყოს შედგენილი, მეტ წილად ეკარგება თავისი მნიშვნელობა, თუ ის დამახინჯებულად გატარდა ცხოვრებაში. ეხლა მიმდინარე სასურსათო თათბირის მთავარი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეძენილი გამოცდილების მიხედვით, გამოიმუშავოს კონკრეტიული ზომები და ფორმები ნატურ გადასახადის აკრეფისა.

თათბირზედაც აღნიშნეს, რომ უკვე დასრულებულ აკრეფის დროს ბევრ შეცდომას და ნაკლს ჰქონდა ადგილი. არ მოიპოვებოდა უტყუარი სტატისტიკა მოსავლის რაოდენობის შესახებ, გადასახადი შეცდომით გაეწერა აქ იქ ღარიბ ელემენტებსაც, რომელნიც თვითონ საჭიროებენ დახმარებას, ზოგან შეძლებული გლეხები „იძვრენდნენ“ თავს გადასახადისაგან, მოისუსტებდა გადასახადის გამტარებელი აპარატი. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ასეთი, სრულიად ახალი და რთული საქმის უნაკლოდ განხორციელება შეუძლებელიც იყო. საამისოდ გვაკლდა გამოცდილება და ძალები.

ერთი წლის შემდეგ ეს გამოცდილება შევიძინეთ და მუშაკების საკმაო რაოდენობაც გვყავს, რომელნიც კარგად იცნობენ საერთოდ საქმეს და აგრეთვე გაცნობილი არიან ადგილობრივ მდგომარეობას და პირობებს.

ეს გარემოება კი საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ მომავალში ნატურ გადასახადს წარმატებით ჩავატარებთ, სწორედ ისე, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესები.

ამ მხრივ ჩვენ მთავარ საქმედ მიგვაჩნია დაცვა ღარიბ გლეხ კაცობის ინტერესების და ზომების მიღება, რათა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილმა სავსებით მოიხადოს შესაფერი საგადასახადო ვალდებულება. საქმე ეხება გადასახადის სწორ განაწილებას. უტყუარი ფაქტია, რომ ადგილობრივად აქა იქ საგადასახადო კომისიებში „გაძვრენ“ „კულაკი“ ელემენტები, რომელთა განზრახვას შეადგენდა თავის და მსგავს ახლობელ პირების განთავისუფლება გადასახადისაგან, ღარიბ გლეხ კაცობის ხარჯზე. ასეთ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს, და სოფლის ბობოლები ამ საქმეს ახლოს არ უნდა იქნან გაკარებულნი. ამასთან დაკავშირებით გვემართებს ადგილობრივი სასურსათო აპარატის რეორგანიზაცია და მისი გაწმენდა საეჭვო ელემენტებისაგან, თუ ასეთები მოიპოვებიან.

მოსავლის რაოდენობის სწორი გამორკვევა, გადასახადის სამართლიანი განაწილება, ღარიბ ხალხის ინტერესების უზრუნველყოფა ამ საქმეში, საგადასახადო აპარატის გამარტივება დ გაჯანსაღება,—აი ზოგიერთი ზომა, რომელიც ხელს შეუწყობს ერთიანი ნატურგადასახადის რიგიან განხორციელებას.

სასურსათო თათბირმა უნდა გაითვალისწინოს ეს და სხვა საკითხები, დაკავშირებულნი ერთიან გადასახადთან, თავი მოუყაროს ერთი წლის განმავლობაში მოპოვებულ გამოცდილებას, გამონახოს გზები შემჩნეულ დეფექტების შემდეგში ასაცილებლათ და გადასახადის უმტკივნეულოდ გასატარებლად.

სასურსათო გადასახადს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის მეურნეობის აღდგენის გეგმაში და მის წარმატებით განხორციელებაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სასურსათო თათბირი საჭირო სიფრთხილით და სერიოზულობით მოეპყრობა მის წინ მდგარ საქმეს და თავის ამოცანას პირნათლად გადასჭრის.

საბჭოთა რუსეთის პირველი საშინაო სესხი

მეორე კვირაა რაც რუსეთში დიდის წარმატებით მიმდინარეობს ხელის მოწერა სრ. რუსეთის ც. აღმასკომის დადგენილების თანახმად გამოშვებული საშინაო სესხის ვალდებულებებზე. ხელის მოწერა დაიწყო ამ თვის პირველს და სამი დღის განმავლობაში უკვე ამოიწურა ვალდებულებათა პირველი სერია. როგორც ცხოველი ინტერესი, რომელსაც იჩენენ ფართო მასები ამ სესხისადმი, ისე თვით ზომა, რომელსაც მიმართა სესხის სახით საბჭოთა ხელისუფლებამ, ფრიად მაჩვენებელია და მნიშვნელოვანი.

მას შემდეგ რაც საბოლოოდ გამოირკვა გენუის კონფერენციაზე, რომ რაიმე რეალური დახმარების მიღება ევროპის ბურჟუაზიისაგან მინიმალურათ ხელსაყრელ პირობებში მაინც, რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შენარჩუნების ფარგლებში, შეუძლებელი აღმოჩნდა, საჭირო შეიქნა ახლავე სათანადო ზომების მიღება საკუთარი ძალებიდან, შინაური შესაძლებლობიდან სარგებლობის ამოღება, უფრო უკეთესის მოლოდინში, თუ ასეთი მოსახერხებელი იქნება ევროპის კაპიტალისტებთან მომავალი „შეხვედრის“ შემდეგ. თუ შეუძლებელი შეიქნა ჯერ-ჯერობით კიდევ სესხი საგარეო, საჭირო იყო მიმართვა საშინაო სესხისთვის.

რომ მუდამ არ შეიძლება დაეყრდნოს სახელმწიფო „საემისიო მეურნეობას“ მბეჭდავ მანქანას, თავისი მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაფარავათ—ეს ცხადია და შეთვისებული საკმაოთ მწარე გამოცდილებით. აუცილებელია, ასეთი თუ ისეთი ზომით, ცენტრალურ სალაროს დაუბრუნდეს ფულის ნიშნები, რომლებიც უხვათ არის გაბნეული ბაზარზე, რათა შეუჩერებელმა ემისიამ კიდევ უფრო არ დასცეს მისი ფასი, პირიქით განმტკიცებულ იქნეს ის, რამდენადაც ეს საზოგადოდ მოსახერხებელია დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის პირობებში. ეს არის უმთავრესი მიზანი ც. აღმასკომის მიერ გადაწყვეტილი მოკლე ვადიანი საშინაო სესხის, ეგრედ წოდებულ პურის სესხის, რადგან ვალდებულებათა ხელის მომწერნი გარკვეულ დროს (პირველი დეკემბრიდან მომავალი წლის 31 იანვრამდი) მიიღებენ გადახდილ ფულში პურს, იმდენი ფუთის რაოდენობით, რამდენზედაც მათ აქვთ შეძენილი ეს ვალდებულებანი.

ვალდებულებანი სულ 10 მილიონი ფუთი პურის ღირებულების არის და მათი განაღდება უზრუნველყოფილია არა მარტო ასეთი რაოდენობის გადადებით მიმდინარე სამეურნეო წელში ნატურ გადასახადის სახით შემოსასვლელი პურიდან, არამედ დამატებით კიდევ 10 მილიონი ოქროს მანეთით. ასე რომ სესხის განაღდების მხრივ ხელის მომწერნი სრულიად უზრუნველყოფილი არიან და გარდა ამისა ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც პირველათ მიმართავს ამ ზომას, ყოველ საშუალებას იხმარს გაატაროს სრული სისწორით სესხის თავის დროზე განაღდების საქმე. ამაში ის დაინტერესებულია არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ უზრუნველ ჰყოს მასიური ხელის მომწერნი მშრომელებიდან და სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო დაწესებულებებიდან, არამედ იმიტომაც კიდევ, რომ ეს არის მისი პირველი ცდა შინაური კრედიტისათვის მიმართვისა, პირველი გამოცდა მისი და ცხადია მთელ შესაძლებლობას ამოსწურავს მას სრულიად უმტკივნეულოთ ჩასატარებლად. ამისთვის მას შესწევს კიდევაც საშუალება. ჯერ ერთი, რომ სესხია მოკლე ვადიანი: სულ ექვსი-შვიდი თვის. მეორეც ის, რომ მას ადვილათ შეუძლია ასეთი დიდი საქმისთვის გადასდოს თითქმის ორას მილიონიანი ფუთის ნატურ გადასახადიდან 10 მილიონი ფუთი პური თავის ვალის გადასახდელათ და ეს იმ შემთხვევაშიაც კი თუ წლევანდელი მოსავალი, რომელსაც საუკეთესო პირი უჩანს თითქმის ყველგან რუსეთში, ვერ გაამართლებს სრულ მოლოდინს. გარდა ყოველივე ამისა, როგორც ვსთქვით, სესხი უზრუნველყოფილია ოქროთიც, რომელიც შეიძლება იმდენი არ მოეპოვება სახელმწიფოს, რომ ჯერ ჯერობით მის საფუძველზე აწარმოოს სესხის აღება და კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ვინემ არის ამ შემთხვევაში, მაგრამ აქვს ის საკმაოთ, რომ სრულიად გაამართლოს ასეთი კრედიტები. ამაში ყველაა ღრმათ დარწმუნებული (მტრებიც კი, რომლებიც ცხადია შეეცდებიან სესხის, სახელის გატეხას) და ეს არის სხვათა შორის იმის მიზეზი, რომ ასეთი წარმატებით ხდება გამოცემულ ვალდებულებათა ბაზარზე მოთავსება.

მაგრამ ვალდებულებათა შეძენით არა მარტო ის სარგებლობა აქვთ, რომ ისინი რამოდენიმეთ მომარაგებული იქნებიან წლის ყველაზე უფრო მძიმე თვეებში, ზამთარში და გაზაფხულისთვის, მათ საშუალება ეძლევათ თავის საჭიროების მიხედვით გაანაღდონ ვალდებულებებში ჩადებული ფული სახელმწიფო ბანკის საშუალებით თუ ბაზარზე, მათი უშუალოთ ტრიალში გაშვებით. დაწესებულებებს შეუძლიათ ამ ვალდებულებებით გაუსწორდნენ თავის მუშებს ან საზოგადოთ კრედიტორებს, მუშებს შეუძლიათ მათი ფულათ ქცევა ყოველ შემთხვევისათანავე.

იჭვი არ არის, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა პუნქტუალურათ შეასრულებს თავის ვალდებულებას, გაამართლებს იმ ნდობას, რომლითაც ხვდება დღეს რუსეთი მის პირველ დაწყებულებას ამ სფეროში და ამნაირათ განამტკიცებს თავის საშინაო კრედიტს, რასაც ცოტა მნიშვნელობა არ ექნება საზღვარ გარეთაც.

ორიენტაცია თავის საკუთარ ძალებზე კრედიტის სფეროში ეს პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა ხელის უფლების ქვეყნის აღორძინების გზაზე ნაცადი. ცხადია, როგორი მნიშვნელოვების არ უნდა იყოს დახმარება უცხოეთის, საბჭოთა ხელისუფლებას დასჭირდება მსგავსი ნაბიჯების კვლავაც გადადგმა და ეს მით უფრო დადებითი შედეგებით დაგვირგვინდება, რაც უფრო წარმატებით ჩატარდება მისი პირველი ინიციატივა ამ მხრივ.

პირველი სესხის გამოშვებით მშრომელთა სახელმწ. წინ იშლება ახალი შესაძლებლობანი და ეჭვი არ არის, ისიც ისეთივე გამარჯვებით ჩაატარებს მას, როგორც სჩვევია სხვა სფეროებში და სხვა ფრონტებზე.

რადიო-დეპეშები

ბიულეტენი ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მოსკოვი. 6 ივნისი. ხუთშაბათს 24 მაისს ვლადიმერ ილიასძე ლენინი ავად გახდა გასტრო-ენტერიტით, რომელსაც მოჰყვა ტემპერატურის აწევა 38,5°-დე. წინანდელ დაქანცულობის ნიადაგზე, ამ ავადმყოფობამ გამოიწვია ავადმყოფის ნერვიული მდგომარეობის დასუსტება და სისხლის მიმოქცევის მცირეოდენი დაშლა, რომელიც რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩქარა გაუმჯობესდა.

ამჟამად ლენინის ტემპერატურა ნორმალურია, სულიერი განწყობილება კარგია, და ავადმყოფი, რომელიც ექიმების რჩევით იმყოფება აბსოლიუტურ მოსვენებაში მალე სავსებით განიკურნება.

ხელს აწერენ: პროფესორი ს. ფერსტერი.
პროფესორი ვ. კრამერი.
ექიმები: ლ. ლევინი
ა. კრაჟევნიკოვი.
ფ. გოტიე.
ჯანმრთელობის სახ. კომისარი სემაშკო.

3 ივნისი 1922 წ

ესერების პროცესი

მოსკოვი, 14 ივნისი. (რადიო) (დასაწყისი არ არის მიღებული)..... სიტყვა ეძლევა ბრალდებულ ლიხაჩს მოწმეების ჩვენებაზე განმარტების მისაცემად. ლიხაჩი ამბობს: პარტიის მე-4 ყრილობაზე სამხედრო კომისია დაიშალა. ყრილობამ ამოირჩია ახალი კომისია, რომელიც თავის მიზნად ისახავდა დამფუძნებელი კრების დაცვას. კომისიას უნდა ეწარმოებია ფართო კომპანია არმიის ნაწილებში და გამოენახა რეალური ძალები დამფუძნებელი კრების დასაცავად. ესერების პარტიის ხელმძღვანელებს არ ქონდათ იმედი პეტროგრადის გარნიზონისა და ამიტომ ლიხაჩი გაემგზავრა ფრონტზე მყოფ ნაწილებში, რათა იქ გამოენახა დამცველები ჯარის ნაწილებში. აღმოჩნდა, რომ ფრონტზე დამყარებული იმედებიც აგრეთვე უსაფუძვლო იყო—აღნიშნავს ამას მწუხარებით ლიხაჩი რადგანაც ფრონტზე რეალური დახმარების გამოძებნა შეუძლებელი შეიქნა, ლიხაჩი დაბრუნდა პეტროგრადში, სადაც იგი ხელმძღვანელობას უწევდა და ცეკას სამხედრო კომისიის მუშაობას. მისი წინადადების თანახმად სამხედრო კომისიამ კონტაქტი დაიჭირა იმ კავშირთან, რომელშიც შედიოდენ სახალხო სოციალისტები, ესდეკები და აგრეთვე სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ამ კავშირის მიზანიც დამფუძნებელი კრების დაცვა იყო. ლიხაჩი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს იმ მზადებისა და გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარებულიყო დემონსტრაცია დამფუძნებელი კრების შენობის წინ, სადაც იგი უნდა მისალმებოდა ამ კრებას და განეცხადა რომ დემონსტრანტები არიან მის განკარგულებაში. მაგრამ ლიხაჩი აღნიშნავს, რომ ეს დემონსტრაცია ვერ მოხერხდა და ამას იგი მრავალ დაბრკოლებათა გამოჩენით ხსნის. (ჯავშნოსან დივიზიამ არ იზრუნა მანქანებისათვის საკმარისი ბენზინის შესაძენათ; მუშები არ გამოცხადდენ, ჯავშნოსნებმა უარი სთქვეს გამოსვლაზე, პრეობრაჟენსკის პოლკი უარზე იყო იმიტომ, რომ ჯავშნოსანი დივიზია არ გამოვიდა).

თავმჯდომარის შეკითხვაზე ლიხაჩი აცხადებს, რომ პარტიის ცეკამ, დამფუძნებელი კრების გარეკის გამო, გამოსცა ცირკულიარი, რომლის ძალითაც პარტიას წინადადება ეძლეოდა გადასულიყო სამოქალაქო ომის პერიოდში (გამოტოვებულია)... მიიღო დადგენილება ვადის შესახებ, რადგან იგი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო რეალური ძალების ურთიერთობაზე. პარტიის ცეკას ძალების ეს ურთიერთობა არ მიაჩნდა ხელსაყრელად.

ბრალდებული სემიონოვი გამოდის სიტყვით, რომელშიც იგი უარყოფს ლიხაჩის მიერ მოყვანილ ბევრ ცნობებს. იგი უარყოფს იმას, რომ მტრებს ნაადრევათ მიაჩნდათ სამოქალაქო ომის დაწყება.

სემიონოვი აღნიშნავს, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ გადატრიალებისა, ესერების პარტიამ დაიწყო სამოქალაქო ომი იუნკრების აჯანყებით. ის რომ დამფუძნებელი კრების დაცვას ნაად[illegible] ბოლშევიკებთან ბრძოლა, ეს რწმენა იყო არსებობა მარტო პარტიის დაბალ წრეებში, როგორც ეს სურს დაამტკიცოს ლიხაჩს. სემიონოვი აღნიშნავს ლიხაჩის ჩვენების სიყალბეს, რომელიც უარყოფს ისეთი სპეციალური შტაბის არსებობას, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია პარტიის მუშაობისათვის. ასეთი შტაბი არსებობდა—ამტკიცებს სემიონოვი და იგი მოთავსებული იყო ჩაიკოვსკის ბინაზე.

სწორედ ამ შტაბის სახელით ბრალდებული სემიონოვი აკეთებდა მოხსენებას საგარნიზონო ყრილობაზე. სემიონოვი ხსნის დემონსტრაციის ჩაშლას პარტიის ცეკას სიმხდალითა და არა პირდაპირობით. სემიონოვი კატეგორიულად უარყოფს ლიხაჩის ჩვენებას, თითქოს ცეკას სამხედრო კომისია ეწეოდა საგანმანათლებელო მუშაობას. მის მუშაობას ქონდა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ხასიათი. სემიონოვი უარყოფს აგრეთვე დემონსტრაციის მშვიდობიან ხასიათს, რომელიც აქ დაასურათა ლიხაჩმა. დემონსტრაციის დროს უნდა გამოსულიყვნენ ჯავშნოსნები, რომელნიც შეიარაღებულნი იქნებოდნენ სამხედრო ყუმბარებით.

სემიონოვი შემდეგში ამტკიცებს იმას, რომ პარტიის ხელმძღვანელები და ესერების ფრაქცია დამფუძნებელი კრებისა არ იძლეოდნენ გარკვეულ პასუხს გამოსვლების საკითხის შესახებ, ეშინოდათ და სტიქიური უბედურების მოვლინებას მოელოდნენ.

ჰააგის თათბირი

ზანტად იკრიბებიან.

ნაუენი. 13 ივნისი. (რადიო) გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ 12 სახელმწიფოს ჯერაც არ განუცხადებია თანხმობა ჰააგის თათბირში მონაწილეობის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტამ სთხოვა ყველას ეცნობებიათ მისთვის თანხმობის შესახებ ივნისის შუა რიცხვებისათვის.

საფრანგეთის მთავრობის პოზიცია.

ბორდო. 13 ივნისი. (რადიო) ჰავასის სააგენტო აქვეყნებს საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ პასუხს ინგლისის მემორანდუმის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ჰააგის თათბირს. საფრანგეთის პასუხი ცალ-ცალკე იხილავს ინგლისის მემორანდუმის ყოველ მუხლს. საფრანგეთის პასუხი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მემორანდუმის მიზანი იყო გამოეწვია ყოველი საკითხის შესახებ არსებითი და სწორი განმარტება, რათა ამით თავიდან აცილებულ ყოფილიყო ყოველგვარი გაუგებრობა და გაურკვევლობა მომავალში, რომელიც შეიქნა გენუის კონფერენციაზე ჰააგის თათბირის საკითხის განხილვის შემდეგ. საფრანგეთის მთავრობა თავის პასუხში აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სახელმწიფონი სხვა გვარად განმარტავენ ოქმებს და კამათის ხასიათს გენუის კონფერენციისას, ვინემ ინგლისი. ზოგიერთი სახელმწიფონი ფიქრობენ, რომ აუცილებელია ჰააგის კომისიის მუშაობაში მიწვეულ იქნენ დიპლომატები, რაც, რასაკვირველია, სრულებით არ ეთანხმება ჰააგის დანიშნულებას. გარდა ამისა ზოგიერთი სახელმწიფონი ფიქრობენ, რომ ექსპერტების წინასწარ თათბირზე უნდა მომხდარიყო შეთანხმება ძირითადი საკითხების შესახებ, რაც კიდევ არ შეიცავს სიმართლეს. საფრანგეთის პასუხში, შემდეგ, ნათქვამია, რომ საფრანგეთის დელეგაციას, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას რუსეთთან მოლაპარაკებაში 11 მაისის შემდეგ, არ ქონდა საშუალება მოეთხოვა 2 მაისის რუსეთის მემორანდუმის უკანვე წაღება.

ეხება რა შემდეგ საკითხის არსებით მხარეს, საფრანგეთის პასუხი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი სცნობს რუსეთის სუვერენულ უფლებებს და აგრეთვე რუსეთის მთავრობის უფლებას რეკვიზიციებისას, იმ აუცილებელი ფორმალური პირობით, რომ სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურება იქნება მოხდენილი, რის შესახებაც რუსეთის მთავრობას დღეს დღეობით არ შეუძლია მოგვცეს გარანტიები. ამ მოსაზრებათა მიხედვით საფრანგეთი იცავს იმ თვალსაზრისს, რომ უცხოელთა კერძო საკუთრების აღდგენა უნდა გადაწყვეტილი იქნეს კომპენსაციების სახით. რუსეთს, როგორც ყველა სხვა სუვერენულ სახელმწიფოს, უფლება აქვს უარი სთქვას ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებაზე. ასეთივე უფლება აქვს სხვა რომელიმე სახელმწიფოს რუსეთთან ხელშეკრულების დადების საკითხში, თუ ეს უკანასკნელი არ მოისურვებს სათანადო გარანტიების მოცემას, რომელიც ახასიათებს ყველა კულტუროსან სახელმწიფოს.

საფრანგეთის პასუხში შემდეგ ნათქვამია, რომ რუსეთ-იტალიის შორის ახლახან დადებულ ხელშეკრულებაში არის ისეთი მუხლი, რომლის ძალითაც რუსეთში არსებული იტალიის კონცესიები არ შეიძლება ჩამორთმეულ და სხვისთვის გადაცემულ იქნენ. ასეთივე გარანტიები უნდა მიეცეს სხვა სახელმწიფოებსაც თუ კი ისინი ამას მოითხოვენ.

საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც სურს რუსეთის აღდგენა, წუხარებას გამოსთქვამს, რომ პროგრამის ის გაურკვევლობა, რომელიც შემუშავებული იქნა გენუაში, ხელს უშლის რუსეთის [illegible] პრაქტიკულად გადაწყვეტას. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთს უაზრობად მიაჩნია რუსეთისათვის აღდგენის გეგმის ულტიმატუმის სახით წარდგენა. ამიტომ ჰააგაში უნდა ვიმუშაოთ იმგვარად, რომ მიზნად პრაქტიკული ამოცანები გვქონდეს დასახული. როგორც უცხოელმა, ისე რუსეთის კომისიამ წინასწარ უნდა განიხილონ ის წინადადებანი, რომელსაც რუსეთი წარუდგენენ. თუ ჰააგას განსაკუთრებით პრაქტიკული საკითხები არ ექნება მიზნად დასახული, მაშინ ამ ახალი თათბირის შედეგები ალბად ცოტათი უფრო ნაყოფიერი იქნება, ვინემ გენუის კონფერენციის შედეგებია.

ევროპის გაერთიანება.

ნაუენი. 13 ივნისი. (რადიო). ბერლინში გაიმართა თათბირი, რომელიც მოიწვია გერმანიის მშვიდობიანობის საზოგადოებამ. თათბირს დაესწრენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები და საფრანგეთის მშვიდობიანობის ლიგის წევრები. თათბირმა აღიარა აუცილებელი საჭიროება ურთიერთი შეთანხმებისა იმ გარანტიების შესახებ, რომელიც შეეხება ევროპის აღდგენას.

ინგლისის პოზიცია.

რომი. 13 ივნისი. (რადიო). ინგლისური გაზეთები იტყობინებიან დამატებითი ცნობებს—საფრანგეთის მემორანდუმზე ინგლისის პასუხისას. ინგლისის მთავრობა მოითხოვს ჰააგის თათბირში აუცილებლად მონაწილეობის მიღებას. ეს თათბირი უმთავრესად უნდა მუშაობდეს ფინანსიური საკითხების შესახებ და არ შეეხოს პოლიტიკური ხასიათის საკითხებს. კომისიის შემადგენლობაში უმთავრესად უნდა შედიოდნენ ფინანსისტი ექსპერტები.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია.

გერმანიის სესხი.

ნაუენი 13 ივნისი (რადიო). მორგანი პარიზიდან გაემგზავრა ამერიკაში, გამგზავრების წინ მორგანმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გერმანიისათვის სესხის მიცემის შესახებ არსებულ კომისიაში გამოირკვა ინგლისელისა და ფრანგი წევრების ინსტრუქციების წინააღმდეგობა, რომელიც მათ მიღებული ქონდათ თავიანთ მთავრობათაგან. საფრანგეთის მთავრობის დირექტივები შეუძლებელს ხდიდა რაიმე პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტილება მიეღოთ ბანკირებს. ინგლისის თვალსაზრისი უფრო ლიბერალური იყო. საერთოდ კომისია, იმ დასკვნამდის მივიდა რომ არსებულ პოლიტიკურ პირობებში გერმანიისათვის სესხის მიცემის პირობების გამორკვევა და მისი რეალიზაცია შეუძლებელი შეიქნა ამერიკელი ფინანსისტებისათვის. დასასრულ მორგანმა ამერიკულ ფინანსისტების სახელით განაცხადა, რომ ისინი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ევროპის ეკონომიური საკითხების გადაწყვეტაში და აგრეთვე მონაწილეობაც მიიღონ გერმანიის სესხში, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, თუ საკონტრიბუციო საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება. საკონტრიბუციო საკითხის დღევანდელ პირობებში ევროპის აღდგენის საკითხი შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნეს.

ბერლინი 13 ივნისი (რადიო). გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ეხება გერმანიისათვის სესხის მიცემის კომისიის დადგენილებას მუშაობის სამი თვით შეწყვეტის შესახებ. გაზეთი სწერს: რასაკვირველია თუ ყველა სახელმწიფონი განაცხადებენ სურვილს კომისიის მუშაობა უფრო ადრეც შეიძლება განახლებულ იქნეს. გაზეთს, ამასთან ერთად, არსებული მომენტისათვის, უფრო მნიშვნელოვანად მიაჩნია ჰააგის თათბირის საკითხი, რომელსაც შეუძლია მივიდეს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობამდის.

ბორდო 13 ივნისი (რადიო). საფრანგეთის გაზეთები მწუხარებას გამოსთქვამენ იმის შესახებ, რომ სესხის კომისიამ დაიჭირა ისეთი პოზიცია, რომელიც უფრო ამაგრებს გერმანიის თვალსაზრისს. მიუხედავათ ამისა პარიზის ოფიციალურ წრეებს არ მიაჩნიად მდგომარეობის უიმედობა. ფიქრობენ რომ ამ ახლო მომავალში პუანკარე ინახულებს ლოიდ-ჯორჯს. ამ შეხვედრის შემდეგ პუანკარე მოხსენებას გააკეთებს დეპუტატთა პალატაში.

ებერტი მიუნხენში.

ბერლინი. 13 ივნისი (რადიო). გერმანიის პრეზიდენტი ჩავიდა მიუნხენში, სადაც მას შეეგება ბავარიის პრემიერი ლანდტაგი. ებერტმა მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ამ ჟამად მთელი ევროპა საოცარ მძიმე პირობებშია და რომ თავის მხრივ ყველა გერმანელები მჭიდროთ უნდა დაირაზმონ, რათა ერთსულოვანად მოიგერიონ ყველა იერიშები მიმართული გერმანიის ხალხის ავლა-დიდებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

კომუნისტების მუშაობა.

ნაუენი. 13 ივნისი. (რადიო). იმ დროს, როდესაც გინდენბურგი იღებდა ბეიხევერის ჯარების პარადს, კომუნისტებისა და სოციალისტების ჯგუფი—8.000 კაცისაგან შემდგარი, შეეცადა გაერღვია პოლიციელების რკალი. ისინი შეეცადნენ ჯარების განიარაღებას. დემონსტრანტებს ესროლეს. ერთი კომუნისტი მოკლულია ხიშტის დაკვრით. 5 კაცი დაჭრილია.

გერმანიის ხარჯები.

რომი. 13 ივნისი. (რადიო). გერმანიის ფინანსთა სამინისტრო იტყობინება, რომ გერმანიას რეინზე მყოფი საოკუპაციო ჯარების შენახვა 1921 წლის განმავლობაში დაუჯდა 5 მილიონი მარკა ოქროთი და 5 მილიონი მარკა ქაღალდის ფულით.

რომი 13 ივნისი (რადიო) ვირტმა ვიურტენბერგში წარმოთქმულ სიტყვაში პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ რეინის ოკუპაცია კიდევ არ არის შეწყვეტილი. ვირტი მოუწოდებდა ამერიკას ევროპის აღდგენის საქმეში თანამშრომლობისაკენ.

კრედიტი უკრაინას.

ბერლინი. 13 ივნისი, (რადიო). **გერმანიის ბანკების კონსორციუმმა დაადგინა, მისცეს უკრაინას 100 მილ. მარკა კრედიტი კონცესიისათვის ოდესის რაიონებში 200,000 დესიატინა მიწის დასამუშავებლად.**

ბერლინი. 13 ივნისი, (რადიო). გერმანიის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ საბჭოთა მთავრობის მიერ შეთანხმებაზე ხელის მოწერას გერმა-

დიდი მომგებიანი ლატარია
საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ
სცადეთ თქვენი ბედი, დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

4—1

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ნიაში რუსეთის საელჩოს დაარსების შესახებ. გადაწყვეტილია რუსეთის საელჩოები მოეწყოს გერმანიის ყველა მსხვილ ქალაქებში.

იაპონია.

მთავრობის კრიზისი.

ბერლინი. 13 ივნისი, (რადიო). ადმირალი კატო თანახმაა მიიღოს თავზე ახალი კაბინეთის შედგენა. კატოს მთავრობის პროგრამას საფუძვლად უდევს ვაშინგტონის გადაწყვეტილებანი: უნდა შემცირდეს სამხედრო ბიუჯეტი, შემცირდეს სამხედრო ფლოტი და განხორციელდეს ვაშინგტონის გადაწყვეტილებების მუხლები.

ზემო-სილეზია.

საალყო წესები.

ბორდო. 13 ივნისი, (რადიო). საკავშირთშორისო კომისიამ ზემო-სილეზიაში გამოაცხადა საალყო წესები რატი ბონის რაიონში.

საფრანგეთი.

ბირჟაზე.

ბორდო. 13 ივნისი, (რადიო). „ტან“-ის ცნობებით ბირჟაზე და კულისებში სულიერი განწყობილება მძიმეა, ემჩნევა გირვანქა სტერლინგის და დოლარების კურსის აწევა. გერმანიის მარკა დაწეულია.

პოლონეთი.

კოალიციონური მთავრობა.

ნაუენი. 13 ივნისი. (რადიო). ვარშავიდან მიღებულ ცნობებით, ახალი მთავრობა იქნება შედგენილი წმიდა კოალიციონურ ნიადაგზე. მთავრობაში იქნებიან პარლამენტის ყველა ფრაქციების წარმომადგენლები.

არჩევნების მოახლოვება.

პარიზი. 13 ივნისი. (რადიო). პილსუდსკიმ პარტიის ლიდერებს განუცხადა, რომ მდგომარეობა პოლონეთში პოლიტიკური მხრით ძლიერ მძიმეა, არჩევნების მოახლოვების გამო. სახელდობრ არჩევნების დროს მთავრობა უნდა სარგებლობდეს უდიდესი ავტორიტეტით. ნამდვილად კი, მთავრობა ვერ სარგებლობს სახელმწიფოში დიდი ავტორიტეტით.

ავსტრია.

მუშათა მდგომარეობა.

ბერლინი, 13 ივნისი (რადიო). გაზეთ „არბაიტერ ცაიტუნგის“ ცნობით მუშათა საბჭოების გაერთიანებულმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იგი მიაქცევს მთავრობისა და მრეწველობის წარმომადგენლების ყურადღებას მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა შეკავება შეუძლებელი გახდება. ცხოვრების გაძვირება და ფულის კურსის დაცემა იმდენათ კატასტროფულია, რომ მას შეუძლია საშინელი შედეგები გამოიწვიოს.

შვეცია

შვეციის მონაწილეობა ჰააგის თათბირზე

ბერლინი. 10 ივნისი. სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობების თანახმად შვეციის მთავრობამ დაადგინა მიიღოს მიპატიჟება ჰააგის თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარის პროფკავშირების საბჭოში. კავშირების გაწმენდას წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან ახდენს კომისია, რომელიც შესდგება საქართველოს პროფკავშირების საბჭოს ერთი წარმომადგენლისა და პროფკავშირების ორი წევრისაგან. კომისიამ დაამუშავა დამატებითად ინსტრუქცია იმ მასალებიდან, რომელიც მან მიიღო საქართველოს პროფკავშირების საბჭოსაგან. სახალხო კვების კავშირშირში გაწმენდამდე ითვლებოდა 564 წევრი, მის შემდეგ კი დარჩა 346. მეთამბაქოების კავშირში იყო 226, გაწმენდის შემდეგ დარჩა 192. მკერავთა კავშირში—161,—დარჩა 100. მედიკო სანიტარულ კავშირში 798, დარჩა 521. მბეჭდავებში 135 და 105. მშენებლებში 620 და 570. მეტყავეებში 411 და 301.

წალკაში. წარსულ დღეებში კომპარტიის წევრების ინიციატივით სოფ. ბეშტაშენში (წალკის რაიონი) სოფლის გზების და ქუჩების გასაფართოებლად მოწყობილ იქნა შაბათობა, შაბათობას დაესწრო ბევრი ხალხი. მწყობრი მუშაობით გადატანილ იქნა, მესაკუთრეების თანხმობით ბევრი ქვის კედლები და ზღუდეები, რომლებიც ავიწროებდნენ ქუჩებს, რის შემდეგაც ქუჩებს მიეცა სწორი მიმართულება. საღამოსათვის სამუშაო დაასრულეს.

მეორე დღეს შეაკეთეს წყარო, რომელიც იმყოფება სოფლის მთავარ ქუჩაზე და რომლის გარშემო 24 საჟენზე იდგა ყოველთვის დიდი ტალახი, რის გამო მგზავრობა ამ ადგილას მეტად გაძნელებული იყო. დიდი ხანია სოფლის ყოფილი მამასახლისები ოცნებობდენ ამ მოედნის გაშრობაზე, მაგრამ ვერ ახერხებდენ დიდი ხარჯების გამო.

შაბათობამ ამას მოანდომა ერთი დღის მუყაითი მუშაობა: მოზიდეს ქვები და ხრეში ურმებით, გაიყვანეს თხრილი და შეუერთეს წყაროს.

დახმარება დამშეულებს ახალციხის მაზრაში. დამშეულთა დამხმარე ახალციგის სამაზრო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ, აღმასკომის პრეზიდიუმის, პარტიის სამაზრო კომიტეტის და თემის აღმასკომების წარმომადგენლების თანადასწრებით მოისმინა ინფორმაცია ადგილებიდან, რომლის შემდეგ გამოარკვია სიმშილის საშიშროების სურათი.

თითქმის ყველა თემებში დამშეულია 2—7 სოფელი. სიმშილობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ მცხოვრებლებმა პურეულის მთელი მარაგი დათესეს და მოსავლის აღებამდე იძულებული არიან თავი გამოკვებან ბალახით. ამ ნიადაგზე ზოგიერთ რაიონებში ადგილი ჰქონდა ავადმყოფობას. თათბირმა დაადგინა დახმარების აღმოსაჩენად მიიღონ გადამჭრელი ზომები: აღმასკომიდან მიღებული 2.000 ფუთი პურის მარცვალი დაურიგდება მცხოვრებლებს სესხის სახით, ვინაიდან ყველა რაიონებს აქვთ ნათესები და ამ დახმარების უკან დაბრუნება მოსავლის შემდეგ მათ არ გაუძნელდებათ. ყველა თემებში, დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით არსდება საურთიერთო დამხმარე ადგილობრივი კომიტეტები „კულაკების“ უსირცხვილო ექსპლოატაცის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აზერბეიჯანი.

სასურსათო გადასახადი. შუშინის მაზრაში შეუდგენ თივის აღებას. სასურსათო გადასახადს მცხოვრებლები კარგად ხვდებიან. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სიების შედგენისათვის. კუბატლინის მაზრაში მუშაობა სასურსათო გადასახადის გარშემო მიმდინარეობს აჩქარებული ტემპით. ადგილობრივი იაჩეიკები და ორგანოები ამ მუშაობაში იღებენ აქტიურ მონაწილეობას. სასურსათო გადასახადს მცხოვრებლები ხვდებიან დადებითად. დაწყებულია თივის აღება, რომლის დამამზადებელი კანტორა მოწყობილია კუმატლაში. მოსავალი საშუალოა. გოკჩის მაზრაში აღწერა, სოფლების მიხედვით, დასრულდა წარმატებით. კარიაგინის მაზრიდან გაიანის ველებით აგოლინის და დონდარლინის ადგილებში (შემახინის მაზრაში) გადმოფრინდა კალია. ძლევანშირის მაზრაში სასურსათო გადასახადის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. უკანასკნელ სიების გადასინჯვა დასრულდა 7 ივნისს. დგება ჯამები. ქერის აღება უკვე დასრულდა. ამ დღეებში დაიწყება პურის აღება, თივა ითიბება. მოსავალი დამაკმაყოფილებელია.

სამაგალითო მუშაობა. ბრაილის რაიონში სამხედრო-საზღვაო ნავთსადგურის იაჩეიკის სხდომაზე გამოირკვა რომ მექანიკურ ქარხანამ მუშების და მოსამსახურეების მეცადინეობით შეასრულა დანიშნულ დროისათვის შეკვეთილ მუშაობის 150 პროც. დადგენილ იქნა ეთხოვოს ნავთსადგურის კომანდირს გამოუცხადოს ბრძანებაში მადლობა მუშებს და გამოხახოს სახსარი განსაზღვრულ ფონდის შესაქმნელად პრემიებისათვის.

ჯებირებით გამაგრება. დასრულდა მუშაობა მტკვრის და არაქსის ნაპირების გასამაგრებლად. ყველა ახლად აგებულ სანაპირო სიმაგრეები და 19 შეკეთებული გაგლეჯილი ჯებირები მტკიცე გამოდგა და გაუძლო გაზაფხულის წყალდიდობას.

სამხედრო მოსამსახურეების გამოსახლება ბინებიდან. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შეჩერებულ იქნას სამხედრო მოსამსახურეების გამოსახლება ბინებიდან ქირის გადაუხდელობის გამო და ამ საკითხის შესახებ შედგენილ იქნეს განსაკუთრებული კომისია ბაქოს საბჭოს, ფინანსთა და სამხედრო და საზღვაო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან.

დახმარება სახელმწიფო თეატრებს. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ფულის ნიშნების განმანაწილებელ კომისიას, მისცეს სახალხო განათლების კომისარიატს 5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო თეატრის თანამშრომლების ჯამაგირებისათვის.

პარტიული მუშაობა აშტაგინის რაიონში. რაიონის ყველა სოფლებში გაკეთებულია მოხსენებები დამშეულების დასახმარებლად. გატარებულია კამპანია ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ აზერბეიჯანში, უპარტიო გლეხები მთლიანად მიემხრენ ბაქოს საბჭოს რეზოლუციას. ჩატარებულია კრებების მთელი რიგი სასურსათო გადასახადის შესახებ. წარმატებით ჩატარდა განათლების კვირა, სამეულის მიერ შედგენილმა სათეატრო ტრუპპამ შემოიარა კალონის და მაშტაგინის რაიონები.

სომხეთი.

ძეგლი ალექსანდრე რუბენის. 11 ივნისს ეროვნის კომუნარების სახელობის ბაღში, მოხდა მარქსიზმის პირველი თეორეტიკოსის ალექსანდრე რუბენის ძეგლის საზეიმო გახსნა.

სამხატვრო გამოფენა. გაიხსნა სამხატვრო სკოლის მოწაფეების ნამუშევრის გამოფენის გახსნა.

სეტყვა და კალია. აშტარაკს და ლორის ზოგიერთ რაიონებში მოსავალი „საგრძნობლად დაზიანდა სეტყვისაგან. ზანგეზურში რამოდენიმე ადგილას გაჩნდა კალია.

ერზერუმში. სომხეთის დეპეშათა სააგენტოს საკუთარი თანამშრომელი ერზერუმიდან იტყობინება: სომხეთის წარმომადგენელი ყარსში ამხ. სარკისიანი მოვიდა ერზერუმში. ერზერუმში სომეხი მოსახლეობა არ არის. რკინის გზა ერზერუმ-სარაკამიშს შუა წესიერად მუშაობს. გადადგმულია ნაბიჯები ერზერუმისა და ერძინჯანის შუა ვიწრო რკინის გზის ლიანდაგის გაყვანისათვის. ერზერუმსა და ტრაპეზონდს შუა მოწყობილია ავტომობილებით მიმოსვლა.

ერევნის სამაზრო პარტკომების კონფერენცია. 10 ივნის საღამოს სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ერევნის სამაზრო პარტკომების დელეგაცია, სადაც მონაწილეობას იღებდა 141 დელეგატი, პირველ სხდომაზე მოსმენილ იქმნა ამხ. მრავიანის ფართო მოხსენება პოლიტიკური მომენტის შესახებ და შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხსენების გარშემო. განზრახულია შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნას მოხსენება ერევნის კომიტეტის მოქმედების შესახებ.

პროპაგანდისტი მუსულმანი ქალები. სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების ქალთა განყოფილების ინიციატივით გაიხსნა მშრომელ მუსულმან ქალების პარტიული საინსტრუქტორო სკოლა. სკოლის მიზანია მოამზადოს მშრომელ მუსულმან ქალთა შორის პროპაგანდისტები პარტიული მუშაობისათვის. ელემენტარულ ფორმით აქ გაივლიან: პოლიტიკურ ეკონომიას, საბჭოთა აღმშენებლობას, პარტიის ისტორიას, რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას და სხვა... ჯერჯერობით სკოლაში მსმენელად ჩაეწერა 20 მუსულმანი ქალი.

რევოლიუციის გამოფენა. შესდგა რევოლიუციის გამოფენის გახსნა, რომელიც მოწყობილ იქნა სახალხო განათლების კომისარიატის და ერევნის კომიტეტის ინიციატივით და მეცადინეობით. გამოფენა გაიხსნა სახელმწიფო თეატრში, შესვლა თავისუფალია.

სასურსათო გადასახადი. მოსამზადებელი მუშაობა სასურსათო გადასახადის შეკრების ორგანიზაციისათვის ყველა მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს. ადგილობრივად უკვე მიღებულია სათანადო ისტრუქციები, სანიმუშო სიები და სხვა. უკვე იწვევენ სასურსათო გადასახადის აკრეფის თანამშრომლების თათბირს, უპარტიოთა კონფერენციებს და მიტინგებს, სადაც ხდება გაცნობა სასურსათო გადასახადის ახალ ფორმებთან და ამ უკანასკნელის შეგროვების წესებთან. სახალხო სასურსათო კომისარიატმა მიიღო სასწრაფო ზომები იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს და მოწესრიგდეს კავშირი ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

ქრონიკა

◆ **ქალაქის სასაკლაო.** სწარმოებს კაპიტალური რემონტი ქალაქის სასაკლაოების შენობების სახურავებისა და გაჰყავთ სასაკლაოზე წყალსადენი კახეთის რკინის გზის წყლის საქაჩავისაგან, რომელიც იღებს წყალს მტკვარიდან. წყალსადენი სავარაუდებია ისე, რომ დღე-ღამეში მიაწვდის 6—10 ათას ვედრო წყალს. მუშაობის დამთავრებას ფიქრობენ 2—3 კვირის განმავლობაში.

◆ კვირას, 18 ივნისს, დილის 11 საათზე. წ. კ. გ. საზ. ბინაზე (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია საზოგადოების **რწმუნებულთა და მუდმივ წევრთა** საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1. საზოგადოების მთავარი გამგეობის მოხსენება 1921 წლის მოქმედების შესახებ. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. ახალი წესდებისამებრ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და სხვა... ეს კრება დანიშნულია მეორედ, ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 11 ივნისს არ შესდგა ქვორუმის დაუსწრებლობის გამო და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

◆ **სახან. საკურორტო გადამრჩევ კომისიისაგან.** თბილისის საკურორტო-სასანატორიო გადამრჩევი კომისია ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება გაგრძელებულია 15—16 ივნისამდე. მისამართი: პლეხანოვის პროსპ. ყოფილ დავრდომილთა თავშესაფარის შენობაში. 9—3 საათამდე.

◆ **ციმბირის ჭირი.** რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხაილოვის) აღნუსხულია 1 შემთხვევა ციმბირის ჭირით დაავადმყოფებისა.

— **მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.** მიწათ-მოწყობაზე დებულების დამტკიცებისთანავე მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა დანიშნა მიწათ-მოწყობის ტეხნიკები შემდეგ მაზრებში: ბორჩალოში 10, თბილისის და გორისაში—რვა თითოში, დუშეთის მაზრაში 6, ქუთაისში—5, სიღნაღის, თელავის და ახალქალაქის მაზრებში ოთხ-ოთხი, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ახალციხისაში—სამ-სამი თითოში, თიანეთის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში ორ-ორი, საახალშენო საქმეზე—3, საძოვრების მოსაწესრიგებლათ—8 და ტყეების მოსაწყობათ—9 ტეხნიკი. სულ მიწატყის და საძოვრების მოსაწყობათ მინდვრათ იმუშავებს ჯერჯერობით 89 სპეციალისტი. მუშაობა უკვე დაიწყო“.

◆ **დამშეულთა სასარგებლოდ.** (ბათომში). დამშეულთა სასარგებლოდ უკანასკნელად გამართულმა სეირნობამ მოგვცა 22 მილიონი შემოსავალი.

◆ **გრიგალი ზღვაზე.** (ტელეგრაფით) 10 ივნისს ზღვაზე გაიარა გრიგალმა რომელსაც არსებითად ზიანი არ მოუტანია.

◆ **ესერების პროცესის გამო.** (ტელეგრ.) ბათომის მუშათა ორგანიზაციებმა მთელ რიგ მიტინგებზე გამოიტანეს რეზოლიუციები, სადაც მოითხოვენ მკაცრ სასჯელს ესერებისათვის.

საქართველოს ნავთსადგურებში.

◆ **ფოთის ნავთსადგურში.** 9 ივნისს მოვიდენ პორტში: ინგლისის გემი „ტირსია“ კონსტანტინეპოლიდან 6000 ფუთი სიმინდის ტვირთით და 7 მგზავრით და ოსმალეთის ხომალდები: „კაპლან“, რედუტკალედან 3 ფუთი ქონით, „ნემეტ“, „ხუდავერტი“, „გოვერჯანი“ ხოფიდან.

იმავე რიცხვს პორტიდან გავიდა ქართული შხუნა „ცხენის-წყალი“ სოხუმში 160 ფუთი ტვირთით და 15 მგზავრით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია *)

სხდომა მეოთხე

სასახლე 1922 წ. აპრილის 15.

მოხსენება სიმშილობის შესახებ

ფ. მახარაძე. ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას აქვს უფრო ინფორმაციული ხასიათი. სიმშილის შესახებ დღესსაუბარი შესაძლებელია ზედმეტი არის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხშირად ჭირს და უბედურებას ადამიანი ეჩვევა. ამისათვის არ არის არასოდეს ზედმეტი, რომ კიდევ ერთხელ ასე თუ ისე ჩვენს წინაშე წარმოვიდგინოთ მთელი ის საზარელი სურათი, რომელსაც დღეს განიცდის რუსეთის მთელი ფედერაციის გლეხკაცობის ერთი დიდი ნაწილი.

დახატვა იმ საზარელი სურათისა, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ამის შესახებ გაზეთებშიაც იბეჭდება და ცალკე მეთვალყურეებსაც უნახავთ, რასაკვირველია ძნელია და მე ამას ვერ ვიკისრებ. მე მგონია, რომ ყველა თქვენგანმა იცის რამდენიმედ ეს ამბავი, მაგრამ, როგორც შევნიშნე თავშივე, ჩვენ ამას ვეჩვევით, მით უმეტეს როცა ყველაფერი ეს ჩვენგან ცოტა დაშორებით არის. პირდაპირ ვერ ვხედავთ და ეს, რასაკვირველია, ყველაფერი სხვისი ჭირი და სხვისი უბედურება არის. ჩვენ რასაკვირველია ვერ მოვიქცევით ასე. მე დარწმუნებული ვარ, არა თუ შესაძლებელია შესუსტება და შემცირება იმ ყურადღებისა რომელიც ეძლევა სიმშილობას, არამედ კიდევ მეტი ყურადღება, გაორკეცება საჭიროა იმ ენერგიის, რომელიც ამაზე იხარჯება. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ვიცით. ვოლგის მხარეში დამშეულთა რაოდენობა, იმათი რომელნიც რეგისტრაციაში არიან გატარებული უდრის 15 მილიონს. ამათში 5 მილიონამდე ნორჩი ბავშვები არის, მაგრამ იმ უკანასკნელი ცნობებით, რომელიც ჩვენ გადმოგვცა ამხანაგმა კალინინმა თავის მოხსენებაში გარდა ამ 15 მილიონისა არის კიდევ 10 მილიონამდე დამშეული რომელნიც რეგისტრაციაში არ არიან გატარებულნი. საქმე იმიშია თუ რას ნიშნავს დამშეულობა. ეს დღეს მეტად გაუგებარი მცნება არის. დამშეულს ნიშნავს შესაძლებელია ისეთი ადამიანი, რომელსაც ნაკლები სურსათი მოეპოვება. ნაკლებად არა ნორმალურად იკვებება, მაგრამ დამშეული ეწოდება იმასაც რომელსაც სრულიად არაფერი არ გააჩნია, რომელსაც უკვე ყველაფერი გამოლეული აქვს. და აი სწორეთ ასეთებს წარმოადგენენ ის 15 მილიონი დამშეულნი. არავითარი სახსარი გარდა მიწისა, რომელსაც ის ხრავს ან რაიმე ასეთივე სურაგატისა. რომლის წარმოდგენა ჩვენ არც კი შეგვიძლია მათ არ მოეპოვებათ. და აი სანამდი მიდის ასეთ პირობებში ადამიანი ეს ყველამ უკვე იცის—როცა ის ჰკარგავს ჭკუა-გონებას, მხეცდება და შემდეგ თვითონ თავის ბავშვების და თავის ნათესავების ხორცსა სჭამს და ეს დღეს უკვე გადაქცეულია ნორმალურ მდგომარეობად. რუსეთში სიმშილი ვოლგის მხარეს გარდა გაჩენილია აგრეთვე უკრაინაში, განსაკუთრებით უფრო სამხრეთით მდებარე ყირიმში. იქ სიმშილმა ამ ბოლო დროს მიიღო ისეთივე და შეიძლება კიდევაც უარესი საზარელი სახე, როგორც ვოლგის მხარეს. საქმე იმაშია რომ შარშან დიდი შეცდომა მოხდა. ადგილობრივ სტატისტიკურ ბიუროს ყირიმისა მიუცია ცნობები რომ თითქოს ერთ დესეტინა მიწაზე მოსავალი იყო საშუალოდ 15 ფუთი, მაშინ როცა სინამდვილეში ყოფილა მხოლოდ 2 ფუთი. ყირიმში ამ ცნობების მიხედვით დაადვეს ნატურალური გადასახადი და, რა თქმა უნდა, ის ტარდება ცხოვრებაში მთელი თავისი სიმკაცრით და აი უცებ გამოაშკარავდა რომ ხალხს არავითარი სახსარი არ მოეპოვება, დარჩენილია ყოვლად უსახსროთ და ის საზარელი სურათი, რომელიც ვოლგის მხარეში არის იქაც მეორდება. ჩვენ ვიცით, თუ სადამდის მიდის უბედურება. სიმშილი ანადგურებს ხალხს, მთელს ქალაქებს და სოფლებს. ყველაფერი ის რაც არის სინამდვილეში აღემატება ყოველგვარ სურათს რომელიც კი ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ჩვენში საბედნიეროდ ასეთი სახე არა აქვს მიღებული სიმშილს, რომ ჩვენში დამშეული არის ხალხი, რომ გლეხკაცობას დააკლდა დიდი ნაწილი მოსავლისა, ეს თვალსაჩინო იყო შარშან და რომ გაჭირვება დაადგებოდა ხალხს ეს ჩვენ უნდა გვცოდნოდა. საბედნიეროდ, მე ვამბობ, თუმცა დიდი გაჭირვება არის თუმცა არის სიკვდილის შემთხვევები მეტის მეტ დამშეულობისაგან, მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ამას ისეთი სახე არა აქვს, როგორიც რუსეთში. მაგრამ მიუხედავად ამისა დახმარება აუცილებლად საჭირო არის. რა აზრი და მნიშვნელობა უნდა მივცეთ ჩვენ დამშეულთა დახმარებას? ეს არ არის საქველმოქმედო რაიმე ჰუმანიური საქმე? გლეხკაცობის დამშევა ეს ნიშნავს სასოფლო მეურნეობის განადგურებას, მის დაქვეითებას, ეს ნიშნავს იმას რომ მას უნდა წაერთვას, მოესპოს ყოველგვარი საშუალება რომ თავისი მეურნეობა კვლავ დააყენოს ფეხზე აი მთელი უბედურება რაში არის და ამიტომ აქ ქველმოქმედებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, ეს ხდება ისეთ საქმედ, რომელსაც ვერავითარი სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლის. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სახელმწიფო მართლაც ამ მხრივ არსებითად განსხვავდება ყველა სხვაგვარ სახელმწიფოსაგან. რუსეთს რომელსაც რამდენიმე სიმშილი გამოუვლია, არასოდეს არ ახსოვს ის დახმარება, რომელსაც აწვდის დამშეულთ საბჭოთა ხელისუფლება. ის არაფერს არ ზოგავს და ის დახმარება, რომელიც მან აღმოუჩინა დამშეულთ ათჯერ და ოცჯერ, ეს მათემატიკურად არის გამოანგარიშებული, აღემატება იმ დახმარებას, რომელსაც წინად თვითმპყრობელი მთავრობა უწევდა დამშეულ ხალხს. იმისთვის, რომ ხალხი დაიხსნას დაღუპვისაგან, სიკვდილისაგან გადაშენებისაგან საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომელიც ცხოვრებაში ტარდება, მთავრობას რაც გააჩნდა, ოქრო-ვერცხლი, სურსათი თუ სათესლე მასალა, მან უკვე გაიღო. საქმე მივიდა იმაზე, რომ მას მეტი სახსარი არ მოეპოვება, მაგრამ თქვენ იცით რომ ეკლესიებში, მონასტრებში წინანდელ დროიდან როცა იქ ბატონობდენ მუქთა ხორები, რომელნიც თავის სულის დახსნაზე, თავის საიქიოზე ზრუნავდენ დაგროვდა დიდძალი ოქრო ვერცხლი სხვა და სხვა ნივთების სახით. რა თქმა უნდა ეს ნივთები, ეს განძეულობა ტყულა უბრალოდ განისვენებს იმ ეკლესიებში და ხშირად იმითი სარგებლობენ მუქთახორები. ჩვენ ვიცით, რომ გაძარცვა ასეთი ეკლესიების და მონასტრებისა, ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის ოფიციალურადაც თვით იმ პირებისაგან, რომელნიც მათ რელიგიურ ნივთებათ თვლიან. ამნაირად რუსეთში დაიბადა აზრი თვით ხალხში, რომ ეს განძეულობა ხატების სახით თუ სხვა გვარი ნივთეულობა გამოეყენებინათ ხალხის სიკვდილისაგან დახსნისათვის. თქვენ იცით, რომ დაბალი სამღვდელოება და აგრეთვე ხალხი, დიდძალი უმეტესობა ამ ხალხისა მხარს უჭერს ამას და ეს ზომა მისთვის არა თუ მისაღები არამედ პირდაპირ მიზანშეწონილი შეიქნა და დღეს რუსეთში ხალხის მოთხოვნით ხდება გამოტანა ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ხსენებულ ძვირფასეულობისა, რომელნიც პურზე და სხვა სასურსათო საგნებზე იცვლება. ჩვენშიაც სდგას ეს საკითხი რასაკვირველია, მაგრამ ჩვენ პრაქტიკულად მის განხორციელებას არ შევდგომივართ.

როგორც მოგეხსენებათ, დამშეულთა დახმარება მარტო კვება არ არის. ეს იმავ დროს ყანების დათესვაა. ეს არის დახსნა იმ საქონლისა, რომელიც მეურნეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. აქ დახმარება სათესლით აუცილებლად საჭიროა. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ მარტო სახელმწიფო ვერ გაუძლებს ამას. ამ საქმეში უნდა ჩათრეულ იქნას საზოგადოების ფართო მასები. მაშინ, როცა სახელმწიფომ ამოსწურა ყველა თავისი წყაროები, ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ ეგრედ წოდებულ საზოგადოებას, მის მდიდარ ნაწილს, ჯერ თითქმის ხელიც არ გაუნძრევია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდი ნაწილი საზოგადოებისა გულგრილად ხვდება ამ დახმარების საქმეს და მას არა თუ არ ამოუწურავს ყველა ის საშუალებანი, რომლის გაღება მას შეეძლო, არამედ ხელიც არ გაუნძრევია. ასეთ პირობებში მთავრობამ თავის წყაროების გარდა სხვა და სხვა იძულებით საშუალებასაც მიმართა. გარდა ამისა საჭიროა, რაც შეიძლება ზომები იქნეს მიღებული, რომ ეს მასა, რომელიც ეგრე გულგრილად არის, ეგრედ წოდებული საზოგადოება—ჩავითრიოთ დახმარების საქმეში. ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ენერგიის გამოჩენა ჩვენი ამხანაგებისაგან აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისაგან, რომ ადგილობრივ ამ საქმეში ჩავითრიოთ ყველა ის ელემენტები, რომელიც განძრახ ან სხვა მოსაზრებით ამ დახმარებას გაურბიან. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ამ სიმშილობის ბოროტად გამოყენებას ეცდება. ჩვენ ვიცით, ამაზე იმედებს ამყარებენ და დარწმუნებული არიან, რომ ხალხის უკმაყოფილება შეიქნება და ამით გამოეცლება მუშურ მთავრობას საფუძველი. ამაზე ამყარებენ იმედებს. ეჭვი არ არის იმაში, რომ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა, მუშათა და გლეხთა ორგანოებმა რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს, რადგან ამაზე არის დამოკიდებული ჩვენი არა თუ დღევანდელი მდგომარეობა, არამედ მომავალიც, თუ ჩვენ ვერ შევძლებით დათესვა და ვერ მივეცით გლეხკაცობას სათესლე,—ჩვენ არ ვიცით რა მოხდება. ჩვენ არ ვიცით როგორი იქნება წრევანდელი მოსავალი, მაგრამ რაც ჩვენზე არის დამოკიდებული ის უნდა შევასრულოთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ დაუთესავი მიწები არ იქნეს გაშვებული.

ეხლა მე შევჩერდები თუ რა გვარი საშუალებანი და ღონისძიებანი არის მიღებული ამ საქმეში. ჩვენში წინათვე არსებობდა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ორგანიზაცია. იგი დაარსდა გასული წლის აგვისტოს 1-ლ რიცხვიდან. მაშინ ჩვენში ასეთ დამშევას ადგილი არ ჰქონია, მაშინ არ იყო ამის ნიშანი. ამ ორგანიზაციას მიუღია სხვადასხვა ზომები და როგორც ანგარიშიდან სჩანს, როგორც ამ ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს მოღვაწეობა მოწმობს, დაარსების დღიდან დაწყებული აპრილის პირველ რიცხვამდე ფულად შეუგროვებია სულ აქ 5 მილიარდი 119 მილ. მანეთი. გარდა ამისა მან შეაგროვა სურსათი კიდევ 33 ვაგონამდე, რომელიც გაგზავნილ იქნა რუსეთში წყაროები, საიდანაც იკრიბებოდა ეს შემოსავალი არის განსაკუთრებით რკინის გზა, თეატრები, კინემატოგრაფები და ზოგ სხვა დაწესებულებათა ასეთი თუ ისეთი დაბეგვრა, როცა ჩვენში სიმშილობა აღმოჩნდა მაშინ მთავრობამ მიიღო ზომები, რომ ადგილობრივ დამშეულთათვისაც აღმოეჩინა დახმარება. ასეთი ორგანიზაცია ჩვენში დაარსდა მხოლოდ თებერვლის 1-ლ რიცხვებში. დაიბადა ერთნაირი აზრი, რომ ეს ორივე ორგანიზაცია რუსეთის და საქართველოს დამშეულთა დახმარების ერთ ორგანიზაციად შეგვეერთებინა, ვინაიდან დამშეულების საქმე ისეთი არის, რომ ყოვლად შეუძლებელია ერთი და იგივე საქმისათვის ერთ და იმავე დროს ორი ორგანიზაციის სახელით მოსთხოვო გადახდა შემოწირულებისა თუ სხვა სახის ბეგრის. შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად შეერთება ვოლგის და საქართველოს დამშეულთა დამხმარე ორგანიზაციებისა შეუძლებელი იყო. ამას აღმოაჩნდა დაბრკოლებები. იყო ისეთი გარემოებები, რომ ეს შეერთება საქმეს ავნებდა. ამიტომ გადავწყვიტეთ ეს ორგანიზაციები იარსებებენ ცალცალკე, მაგრამ სრულის კონტაქტით და თანხმობით ურთიერთთან. ორივე ორგანიზაციაში თითქმის ერთი და იგივე ამხანაგები იყვნენ, მხოლოდ საქმის უფრო გასაფართოებლად და ამ საქმეში ისეთი ელემენტების ჩასათრევად, რომელიც უამისოდ დამშეულთათვის, არ გაიღებდნენ წვლილს. ამ გარემოებამ დაგვანახა, რომ უმჯობესია ეს ორგანიზაციები იყონ ცალცალკე. დღემდე ისინი ცალცალკე არსებობენ და მათ შორის უთანხმოება არ მომხდარა. აი ასეთია იმათი მოღვაწეობა და თუ შემდეგში დავინახეთ გაერთიანების საჭიროება, მაშინ ჩვენ გავერთიანდებით.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 109, 110, 111, 112, 114, 116, 121, 122, 123, 124, 125, 128, 131.

პატარა ფელეტონი

ნარკომაძის გასაჭირი.

სილოვან ნარკომაძე არას დროს არ გრძნობდა თავს კომისარიატში ისე თავისუფლათ, როგორც ამ დღეს.

მას არ ეხვეოდენ გარშემო შინაური და გარეშე მაბეზარა მთხოვნელები.

სამსახურში გამოცხადდენ სწორეთ იმდენი თანამშრომლები, რამდენიც საჭირო იყო წესიერათ მუშაობისთვის და ერთი მეორე'ს ხელს აღარავინ უშლიდა.

ამბობდენ, რომ ამ დღეს ქუჩებში ჩამოივლის ცხენით, ვიქტორ დოლიძის მუსიკალური ჯადოსნობით გაცოცხლებული და გაახალგაზდავებული, ირაკლი მეფე.

სწორეთ ამ უცხო სანახაობის საყურებლათ წავიდენ კომისარიატიდან ზედმეტი თანამშრომლები.

მაგრამ ხმები ტყუილი გამოდგა.

ირაკლის გაცოცხლება არამც თუ დოლიძის მუსიკას, არამედ თვით ყოვლად შემძლე ჩეკასაც არ ძალუძს.

მაგიერში იმავე ჩეკას საშუალებით ქუჩაში გამოფენილმა თანამშრომლებმა იხილეს ის, რაც ბევრ მათგანს ჯერ არ ენახა და რის ნახვასაც მეორეთ აღარ მოისურვებენ!

გაწბილებული და დარცხვენილი დაბრუნდენ მეორე დღეს კამისარიატში, მაგრამ არ იქნენ დაშვებული სამსახურში.

ნარკომაძე დარწმუნდა რა იმაში, რომ უიმათოდ საქმეები უფრო წესიერათ მიდიოდენ, გადასწყვიტა მათი სამსახურიდან დათხოვნა, როგორც ზედმეტი ბარგის.

მაგრამ დღესაც დაბადებას იწყევლის ამ გადაწყვეტილებისთვის.

ნარკომაძის მისაღებ ოთახის წინ მთხოვნელების რიგი ერთი სამათ გაიზარდა. სახლშიდაც მოსვენებას აღარ აძლევდენ.

მარტო ერთი დათხოვნილი ნუცა ნიკაპწვრილაძის უკან დაბრუნების შესახებ მიიღო ნარკომაძემ ას ოცდაცამეტი სარეკომენდაციო წერილები და ორმოცდა რვა პირადათ მთხოვნელი.

დანარჩენების შესახებ წერილებს და მთხოვნელებს რიცხვი არ ჰქონდა.

ბოლოს ნარკომაძე იძულებული შეიქნა ყველა დათხოვნილები დაებრუნებია უკანვე სამსახურში.

კომისარიატში საქმეები ხელახლა აიწეწ-დაიწეწა...

ს. თ—ია.

◆ **ბათომის ნავთსადგურში.** 3 ივნისს შავი ზღვის ნაპირებიდან მოვიდა 5 მოტორიანი გემი და ხომალდი 182 ფუთი თევზის ქონით და ზეთით და 23 მგზავრით. 4 ივნის—4 ასეთივე გემი მცირეოდენი ფიცრებით და ზეთით. 5 ივნისს მოვიდა სტამბოლიდან იტალიის ფლაგით გემი „კორნარო“ 6000 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და 40 მგზავრით პორტ რეზედან, ანანიდან, სოხუმიდან, ქობულეთიდან და ნოვოროსიისკიდან. 8 მოტორიან იალქნიანები მცირე რიცხვი ტვირთით და 5 მგზავრით. გავიდენ ნავთსადგურიდან: 3 ივნისს შავი ზღვის ჩრდილოეთ პორტებისაკენ 4 მოტორიან იალქნიანი გემი 324 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და 20 მგზავრით. 4 ივნისს გავიდა ზუნგულდაკში გემი „ფელიკს ჯერჯინსკი“ 12500 ფუთი ნავთით და 8 მგზავრით. ოდესაში—„პესტელი“ 23760 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და 232 მგზავრით; კონსტანტინეპოლს—ინგლისური ფლაგით და უმგზავროთ გემი „კერ-ელენი“; გუდაუთში—ოსმალეთის ხომალდი 520 ფუთი ნავთით; 5 ივნისს ტრაპიზონში 500 ფუთი ნავთით მოტორი „საკრი“; სალონიკში ბერძნული ფლაგით გემი „ნიკოლოს კონსტანტინოს“ 3700 ლტოლვილით; ქობულეთში ხომალდი „იადიგარი“ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფლაგით.

◆ **სოხუმის ნავთსადგურში** 5 ივნისს რეიდზე იდგენ: მოტორიან-იალქნიანი გემები—საბჭოთა 7 და ოსმალეთის 1, საბჭოთა კატერი, იალქნიანი ხომალდი—6 და ერთი იაპონიის გემი; 6 ივნისს: მატორიან—იალქნიანი გემები—საბჭოთა—10 და ოსმალეთის—2, საბჭოთა კატერი—2, იალქნიანი ხომალდი—5 ოსმალეთის და იაპონიის და საბერძნეთის გემები; 7 ივნისს: მოტორიან—იალქნიანი საბჭოთა გემები 6; საბჭ. კატერი—2, ოსმალეთის იალქნიანი ხომალდი—4 და საბერძნეთის და იაპონიის გემები და 2—საბჭოთა გემი.

◆ **ოჩემჩირის.** 4 ივნისს რეიდზე იდგა 5 მოტორიან იალქნიანი გემი და 7 ხომალდი.

აჭარის ფუხარა ხალხის ყრილობა

ს. კომპარტიის ცეკას.

(დეპეშა ბათომიდან).

აჭარის ფუხარა ხალხის ყრილობა აღფრთოვანებით მოგესალმებათ და ფიცს სდებს არ გადაუხვიოს პროლეტარულ პარტიის მიერ ნაჩვენებ გზიდან. ყრილობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ დიდ და რთულ საქმეს, რომელიც გააკეთა კომუნისტურმა პარტიამ აჭარის მშრომელთა განთავისუფლებისა და გათვითცნობიერებისათვის, გთხოვთ გადასცეთ ამხ. ლენინს, ტროცკის და ფილიპე მახარაძეს ჩვენი სალამი და მასთან ერთად ისიც, რომ ისინი არჩეულნი არიან ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას და ძმობას!

აჭარის ფუხარა ხალხის მეორე ყრილობის პრეზიდიუმი.

მუსიკა

მუსიკა...

ბრძოლის ჰიმნი...

მუსიკით გადმოცემული ბრძოლის ხმები...

— ჩემს გვერდით ოთახში ჩემი თანამებრძოლი, მუსიკოსი ამხანაგები ხშირათ ამეტყველებენ ბრძოლის ამ ჰიმნს.

იგი ატოკებს გულს; აჩქეფებს სისხლს მებრძოლების ძარღვებში.

— მე მაშინ იდუმალი ძაფებით ვიბოჭები.

რაღაც უხილავი ძალა იჭრება ჩემში და ეძებს სულის სიმებს, ცდილობს შეკოწიწებას გონების, გრძნობის, ნების და ხასიათის.

ვიბნიდები...

ვთრები...

არა მსურს განძრევა, ოდნავადაც არის შევარხიო ჰაერი; თითქო მოვქანცულვარ, მაგრამ დაღლილობასაც არა ვგრძნობ. მუსიკის, ბრძოლის ჰიმნის მოსმენას კვლავ გატაცებით განვაგრძობ...

რომ მკითხოს ვინმემ:—რას ვისმენ? რა გავიგე?—ვერ უპასუხებ, ვერ ვეტყვი შინაარსს,—ვერ გაუზიარებ ჩემს განცდას. მაგრამ ვამჩნევ, ვხედავ გრძნობის თვალით კი ჩემს წინ აღბეჭდილს,—შინაგან და გარეშე ქვეყანას, ჩემით შეერთებულს, ჩემით დაკავშირებულს—

— ეს ხომ ზვირთთა მსროლი აქაფებული ზღვაა! აზრი აქ არის საჭირო? არა. აქ მხოლოთ სინამდვილეა შეხედე, გაიგე!..

— ვგრძნობ, თითქოს ნავში ვზივარ, ტალღების მკაცრ ცემაში მივსრიალებ ზღვის გულზე... ჩემი სული განიცდის ხან აუწერელ, უსაზღვრო სიამეს.—ხან კი შიში მიპყრობს, ტანჯვით და მწუხარებით მიფეთქს მკერდში გული.

— „რატომ ასე გაკვირვებით იცქირები? ვერ მიხვდი? არ გჯერა? მწვავეა? მეკითხება თითქო ვიღაცა და განაგრძობს თითონვე პასუხს: ეს სინამდვილეა; ეს შენი ცხოვრების ის უძირო ზღვაა, რომელიც უვიცს, ზღვის არ მცნობს, ცურვის არ მცოდნეს, სუსტ არსებას სძირავს, სიღრმისაკენ მიაქანებს, ერთს არ აღირსებს ტკბილ გაღიმებას, სპობს ტანჯვაში, სიცოცხლისთვის აშაო ბრძოლაში; ხოლო ზღვის საიდუმლოება—ძლიერების შემგნებელი, ცურვის მცოდნე მას ხელში იჭერს, აგორებულ მის ტალღებს სიამით ეთამაშება, მის თვალ-უწვდენელ სივრცეში უშიშრათ დანავარდობს... დანავარდობს!“

მე ვიგრძენი აქ მუსიკის სიდიადე. მე ჩავწვდი აქ ბრძოლის ჰიმნს, მის სიძლიერეს სიღრმეში.

— მუსიკით ამეტყველებული ბრძოლის ჰიმნი თითქო ჩამძახის მე:—შენი მხოლოთ ერთი სურვილია საკმარისი, რომ ყველაფერმა, რაც შენს გარეთ აღმართულა, სახე იცვალოს, შენს გემოვნებაზე მოეწყოს ყველაფერი, შეიცვალოს ყოველივე რაც არ მოგწონს,—თვით დედა-მიწა დაუთმობს თავის ადგილს მზეს და ნაცვლათ დედა-მიწისა, თითონ მზე დაუწყებს ტრიალს გარშემო დედამიწას.

... კომპოზიტორმა კაცობრიობას მეორე დედა-მიწა აღმოუჩინა თავის დამყურე პლანეტებით; მან მეორე დიდი გრძნობიერი ქვეყანა აღმოუჩინა მოციმციმე ვარსკვლავებში გახვეული, მზის ცხოველ სხივებთან მოთამაშე, ამ სხივებით გამთბარი, ამ ქვეყნის შემეცნების ახალი იარაღი მისცა ხელში მას... და თქვენ არ გეგონოთ შორს იყოს ეს ქვეყანა მისგან, ვერ წვდებოდეს მას, მისი დაპყრობა თოფიარაღში ჩასხმას საჭიროებდეს მისგან, სისხლში შეღებვას თხოულობდეს. არა!..

დედა-მიწა,—ეს ხომ ადამიანის გული არის! მისი გამყურე ვარსკვლავები, ხომ იმისი გონება, ტვინი, აზრი, მისი ხასიათი და ნება-სურვილი არის კარგის და ავის გამომცნობი, გამრჩევი?!. ცხოველი მზე, მწველი სხივების მტყორცნელი ამ დედა მიწისაკენ,—ეს ხომ ადამიანის გრძნობა და სულია?!.

მუსიკა...

ბრძოლის ჰიმნი...

მათ შეუძლია გაგრძნობინოს ყოველივე ეს.

მიყვარს მუსიკა...

მიყვარს მე ბრძოლის ჰიმნი, მუსიკაში ამეტყველებული!..

ს. თალაკვაძე.

* * *

არ იფიქროთ ჩვენო მტრებო,
რომ რაიმე დაგიჯეროთ,
გავჩუმდეთ და არ ვიმღეროთ,
ან ოდესმე შეგვაჩეროთ—
არ იფიქროთ ჩვენო მტრებო!!

—

ჩვენ ქვეყანას მოვევლინეთ
მზიურ ცეცხლით აღგზნებული
ზღვას ედრება აღელვებულს
ეს გმირული ჩვენი გული.
ერთი ჰანგზე ავამღერთ,
ყველა ქვეყნის დაჩაგრული
გვინდა ყველამ განიცადოს,
წმინდა შრომის სიყვარული.
ჩვენ ქვეყანას მოვევლინეთ
მზიურ ცეცხლით აღგზნებული!

—

ჩვენ სიკვდილი დავამარცხეთ
შავი, მკაცრი, საშინელი,
წყვდიადს გულში დავუმიზნეთ,
მოკაშკაშე მზის ნათელი,
ბოროტება მიმოვლეწეთ,
ხალხის სულის შემხუთველი,
ჩვენ ვართ ქვეყნის შემომქმედი
ჩვენ ვართ ქვეყნის გარდამქნელი.

აპოლონ სპირდონიძე.

12 ივნისი

სასურსათო თათბირი

12 და 13 ივნისის სხდომა.

მოხსენებები ადგილებიდან.

ახალქალაქის მაზრაში. გადასახადების გადამხდელებია უმთავრესად სომხები, შემდეგ „დუხობორები“, მუსლიმანები და ბოლოს ქართველები. აპრილამდე მოსამსახურეები დაკმაყოფილებულნი არიან ულუფით გარდა ნავთისა. მცხოვრებნი არჩევენ გადასახადის გადახდას ნატურით ვიდრე ფულით.

ახალციხის მაზრა. სასურსათო გადასახადის აკრეფა შეფერხდა დეკრეტის დაგვიანების და ამისდა მიხედვით სიების შედგენის დაგვიანების გამო, მაზრაში სტატისტიკის უქონლობით, მცხოვრებთათვის არა სწორი ცნობების მიწოდებით და სხვა მიზეზებით. ულუფები დარიგებულია მაისამდე. მაზრაში შეიძლება დამზადდეს ქართოფილი. გადასახადის აკრეფისათვის გაწეული ხარჯები უდრის 5—6 ათას მანეთს ფუთზე. მცხოვრებთ სურთ თავის ხელში მოაქციონ გადასახადის მონაწილეობა.

ტფილისის მაზრა. საკმაო ნაყოფიერებით ჩატარდა მატყლის აკრეფა. წარმატებით მიმდინარეობს სასურსათო გადასახადის აკრეფა.

სულ სასურსათო გადასახადი აკრეფილია თუ ვიანგარიშებთ ბაზრის ფასების მიხედვით 8 ნახ. მილიარდი მანეთი დახარჯულია. გადასახადის ასაკრეფი მუშაობის საწარმოებლად 800—900 მილ. მან. ე. ი. დაახლოვებით 10 პროცენტი.

ბორჩალოს მაზრა. გადასახადის აკრეფის შეფერხება აიხსნება კომისიის სათანადოთ მოუწყობლობით და აგრეთვე იმით, რომ გადასახადის აკრეფას ხელი შეუშალა საბჭოების არჩევნებმა.

აკრეფილია 5,000 ფ. მარცვალი პური. სულ აკრეფილია 3 ნახევარ მილიარდი მან., ხოლო დახარჯულია ასაკრეფი მუშაობის საწარმოებლად 200 მილ. მანეთი.

გორის მაზრა.

მთელს მაზრაში გადასახადის აკრეფას ხელს უშლიდა ერთი და იგივე გარემოება: მოუსავლიანობა, დეკრეტის დაგვიანება და სხვა. მცხოვრებლები ჰყიდდენ ცოცხალ ინვენტარს. ასაკრებად გაწეული ხარჯები უდრის შემოსავლის 10 პროცენტს. მცხოვრებლებს უფრო ეხერხება გადასახადის ფულით გადახდა, ვინემ პროდუქტებით.

სიღნაღის მაზრა.

მიზეზთა შორის უნდა აღინიშნოს საბჭოთა ხელისუფლების გატარების მუშაობა.

მაზრაში დიდი მოუსავლიანობა იყო, გასაკუთრებით დაზარალდა შირაქის ველი. დარჩენილი პურის მაგივრად შეიძლება ავიღოთ ღვინო, შინაური საქონელი და მატყლი. სასურსათო გადასახადის აკრეფა დაჯდა მისი ღირებულების 12 პროცენტი.

თელავის მაზრა.

სრულიად გადასახადის კომისიის მუშაობის შეფერხებაში წილი უდევს ადმინისტრატიული აპარატის სისუსტეს.

მიმდინარე წელს მოელიან 2491000 ფ. პურის მარცვალს.

აქედან თუ გამოვაკლებთ მცხოვრებთა მოთხოვნილებას, უნდა დაგვრჩეს 90 ათასი ფუთი. საერთოდ მოელიან საშუალოზე კარგ მოსავალს.

ნათესების სივრცე 1921 წელთან შედარებით მომეტებულია.

დუშეთის მაზრა.

საგადასახადო კომისიებმა გამოიჩინეს მუშაობაში პასივობა.

იყო შემთხვევა, როდესაც სიებში შეიტანეს ღარიბები. რომლებიც პირიქით საჭიროებდნენ დახმარებას.

პირველ სიაში არ შეუტანიათ მდიდრები, თითქმის გამოტოვეს მთელი ჯავის ხეობა. გადასახადის აკრეფა დაიწყო მარტში 6 რაიონში, 4 მთიან რაიონებში აქამდე შეუძლებელი იყო შედგომოდნენ გადასახადის აკრეფას. ფასანაურის რაიონში უკვე შეუდგნენ, ხოლო მლეთის, კობიის და ყაზბეგის რაიონებში მალე დაიწყებენ. აპრილამდე ამ რაიონებში მუშაობა შეუძლებელია გზების უვარგისობის გამო. მოელიან კარგ მოსავალს.

თიანეთის მაზრა. სასურსათო გადასახადის გატარებაზე დაიხარჯა გადასახადის ღირებულების 8 პროც. მაისამდე ულუფა დარიგებულია, ხოლო მაისისთვის დაარიგეს მარილი, მარცვლები, ლობიოს და ასანთი. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სამხრეთ-ოსეთი. კარგი გზების უქონლობამ ხელი შეუშალა კამპანიის ნაყოფიერებას. გადასახადის აკრეფას მოუნდა 30 მილ. მანეთი. აკრეფილია 2 ათასი ფუთი პურის მარცვალი. მცხოვრებლების დამოკიდებულება სასურსათო გადასახადისადმი კარგია.

ულუფა მაისამდე დარიგებულია.

ქუთაისის მაზრა. გადასახადის აკრეფის მუშაობა შეაფერხა მისი მარტში დაწყებამ ე. ი. მაშინ, როდესაც კარგი მოსავლიანობის დროსაც გაჭირვებას განიცდიან მცხოვრებლები. ხარჯები გამოიხატა 800 მილიონ მანეთში, ხოლო აკრეფილია 1 მილიარდზე მეტი. ეხლა შეიძლება მაიკრიფოს 15,000 ვედრო ღვინო. სამინდო გადასახადი ნაყოფიერად მიმდინარეობს. აკრეფილია 2 ათას ფუთამდე და ყოველ თვიურათ შემოდის დაახლოვებით 500 ფუთამდე. პროვინციებისთვის უნდა შეიცვალოს ულუფის სახე. სათესი სივრცე, შარშანდელ წელთან შედარებით გადიდებულია 20 პროცენტით. მოელიან საშუალოზე უკეთეს მოსავალს.

ოზურგეთის მაზრა. დახარჯულია გადასახადის აკრეფისათვის 150 მილ. მანეთი, ხოლო აკრეფილია 3 მილიარდი მან. თუმცა გლეხობა პრინციპიალურად არ არის წინააღმდეგი გადასახადის, მაგრამ საჭიროა გადასახადის მიზან შეწონილათ გაწერა; მარტის ულუფა დარიგებულია ნავთის გამოკლებით, რომელიც 1 იანვრიდან არ დარიგებულა. ნათესების სივრცე მომატებულია 30 პროცენტით. მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოხუცი გლეხები ამბობენ, რომ ასეთი ყანა მათ არ უნახავთ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. თუმცა მავნეებმა დააზიანა ყანების ნაწილი, მაგრამ ხელმეორედ გადახნეს დაზიანებული მინდვრები. შარშანდელი დარჩენილი გადასახადი შეიძლება აიკრიფოს.

ზუგდიდის მაზრა. ადგილობრივ მიზეზთა შორის, რომლებიმაც ხელი შეუშალეს გადასახადის აკრეფას იყო წყალდიდობა. საცხოვრებელ ადგილების ნაწილი ეხლაც წყლით არის დაფარული. თემის აღმასკომებს ამის შესახებ განკარგულება არ მოუხდენიათ ხარჯები გამოიხატა 64 მილ. მანეთში. იმ გარემოებით, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა, მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე, მისი კულტურა თანდათან ეცემა. ეხლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სახალხო სასურსათო კომისარიატმა და დამზადება მიანდო ცეკავშირს. დაფნის ფურცლის დამზადება შეიძლება დიდი რაოდენობით.

სენაკის მაზრა მცხოვრებლები არ არიან გადასახადის წინააღმდეგი: ერ-

რა ზომები იყო მიღებული საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის მიერ? ორი თვეა, რაც არსებობს ეს კომიტეტი და ამ ხნის განმავლობაში მთავარმა კომიტეტმა მიმართა სხვადასხვა ზომებს. უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო, რომ ადგილობრივადაც, თვითეულ მაზრაშიაც დაარსებულიყო ასეთივე დამხმარე კომიტეტები, რომელთა მიზანს შეადგენს დამშეულთა გამოკვლევა. მათ უნდა გამოერკვიათ დამშეულთა რაოდენობა და მეორეს მხრივ შეეკრიბათ ადგილობრავ შემოწირულებანი და მოეწყოთ გადაცემა იმისა, რაც დამშეულთათვის არის გადადებული. ჩვენ იმ აზრს დავადექით, რომ ამ დახმარებას საქველმოქმედო ფორმა არ უნდა ჰქონოდა, არამედ საქმიანი. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენში ხალხს, გლეხკაცობას არ მოუვიდა სიმინდის მოსავალი, მაგრამ მას აქვს სხვა სახსარი, საქონელი და სხვ. დახმარება უნდა ყველას სურსათის მხრივ, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ არიან ისეთები, რომელთაც არავითარი სახსარი არ მოეპოვებათ. ასეთებს ჩვენ სურსათი უფასოდ უნდა მივაწოდოთ. მხოლოდ თუ აქ რაიმე სხვა გადასაცვლელი საგანი, მაგალითად ღვინო, აქ ქველმოქმედებას ადგილი აღარა აქვს, მათ სურსათი უნდა მიეცეთ ან დაკლებულ ფასებში, ან სესხად და აქედან შეიძლება გავიჩინოთ დამშეულთა საერთო ფონდი. ჩვენ მივმართეთ მოწოდებით და ყოველ მაზრაში მივეცით დირექტივები, რომ დაარსებულიყო ეს კომიტეტები. მაგრამ დღემდისაც ეს კომიტეტები ვერ იჩენენ სათანადო ენერგიას. დღემდე მათი მოღვაწეობა მეტად შევიწროებული და უსიცოცხლო არის. ეს საერთო ნაკლია, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები და მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დღევანდელი სესია, როცა დაიშლება და ამხანაგები დაბრუნდებიან ადგილობრივ, სწორედ ამ საქმეს მიაქცევენ დიდ ყურადღებას და შეასრულებენ იმ დავალებას, რომელიც დაკისრებული აქვს ამ კომიტეტებს. მე მგონია, რომ ამის შემდეგ მაინც ამხანაგები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას. ჩვენი ცნობებით საქართველოში დამშეული არის შემდეგი მაზრები: შორაპნის, ლეჩხუმის, ზემოგურიის, სამხრეთ-ოსეთის, გორის და სხვა. ეს თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც ჩვენ მოგვდის ადგილობრივ კომიტეტებისაგან. დაახლოვებით ასეა თუ არა, ამის თქმას მე არ ვკისრულობ. ამ ცნობების მიხედვით დაახლოვებით სულ დამშეულთა რაოდენობა 400 ათასს უდრის. ამათში არიან უფრო მეტად გაჭირვებულნი და ნაკლებად გაჭირვებულნი. ჩვენი ვარაუდით საჭიროა ორ მილიონამდე ფუთი სიმინდი, ან ხორბალი ამ დამშეულთათვის.

რა ზომები მიიღო კომიტეტმა ამ დამშეულთა დახმარებისათვის? პირველი ჩვენი ზომა იყო ის, რომ მთავრობამ გადასდო რამდენიმე ასი ათასი მანეთი ძვირფასეულობა, დაახლოვებით ორასი ათასი მანეთის რომ საზღვარგარეთიდან დაგვეკვეთა სიმინდი. ეს პირველი ზომა იყო. დაკვეთილი არის სიმინდი და ამ დღეებში უნდა მივიღოთ. მისი მიღება ძალიან გაძნელებული არის, ვინაიდან უცხოეთის ფირმებს ბე აქვთ მიღებული და მთელი ღირებულება, რომელიც ადის 400,000 მან. ოქროთი, ეს ფული ჩვენ ხელში არა გვაქვს. ჩვენ გვქონდა შეთანხმება და როგორც სჩანს, ეს შეთანხმება არ გამართლდა. აქ მე მაქვს ქაღალდი, რომლითაც ობვნეშტორგი გვატყობინებს, რომ თუ ვერ უზრუნველვყავით ეს სიმინდი და დროზე არ მივიღეთ ზომები, ბეც და სიმინდიც დაიკარგება.

გარდა ამისა ჩვენ მივმართეთ სამდღეულების გამართვას. ამ სამდღეულებმა ქალაქ ტფილისში, სადაც ჩვენ ჩავითრიეთ რამდენადაც შესაძლებელი იყო ადგილობრივი ვაჭრები, დაახლოვებით მოგვცა ერთ ნახევარი მილიარდი. მაგრამ სრული ანგარიში ჯერ არ არის წარმოდგენილი. ამავე დროს კომიტეტმა შეიმუშავა სპეციალური გადასახადი ისეთ რამეებზე, რომლებიც ღარიბებს არ გადახდება, გადასახადი შემოსატან და გასატან საქონელზე, ფოსტის სხვა და სხვა ოპერაციებზე, დეპეშებზე, ამანათებზე, და სხვა ასეთებზე. ღვინოზე, რომელიც იქნება ქალაქში, ძვირფასეულ ღვინოზე, საბანკო ოპერაციებზე და სხვ. ყველა ეს უკვე დადასტურებული არის და ძალაში არის შესული ამ რამდენიმე დღის წინეთ. ამის შედეგები ჩვენ არ ვიცით თუ რამდენი იქნება აქედან შეგროვილი, მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ ეს არის მუდმივი წყარო.

მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ ფართო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გაუღია ის წვლილი, რომლის გაღება მას შეუძლია. ჩვენ ვიცით, თუ რა ხდება გარშემო და როცა მას გადავხედავთ დავრწმუნდებით იმაში, რომ ჯერ კიდევ ბევრი არის ისეთი საზოგადოება, რომელსაც შეუძლიათ მეტი, წვლილის გამოღება დამშეულთათვის კიდევ მოიპოვება სურსათი.

გარდა ამისა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მოქმედება გამოიხატება სხვა მხრივაც. თქვენ იცით, რომ საზოგადოებამ თვითონ მიმართა თვითდახმარებას დამშეულთათვის და აი, რა საშუალებით, იმ საშუალებით, რომ საქართველოს ერთ რაიონში თუ სიმინდი არ მოსულა, მაგრამ მოვიდა ღვინო; აი ღვინოების გადატანა სხვა მაზრაში და ამ ღვინოების, რომელიც ეკუთვნოდათ გაჭირვებულთ, განთავისუფლება სააქციზო გადასახადისაგან.—ეს ერთი. მეორე ის, რომ თითონ ხალხს თავის საშვალებით უსურსათო რაიონიდან შეუძლიათ შეიძინონ მეორე რაიონში, შემოიტანონ სურსათიან რაიონიდან სურსათი, განსაკუთრებით სიმინდი. მაგრამ გადასატანი მასალა არ აქვთ. ამისთვის მთავრობა და კომიტეტი უწევს დახმარებას, აძლევს ვაგონებს უფასოთ. დღემდის გაცემულია უფასოთ 155 ვაგონი,

ყველაფერი ეს რომ ვიანგარიშოთ და გადავიტანოთ ფულზე—ყველა საშვალებანი, ვაგონების მიცემა უფასოდ, აქციზისაგან განთავისუფლება—ორ მილიარდ მანეთის დახმარება უკვე აღმოჩენილია დამშეულთათვის. ამ ცოტა ხანში კომიტეტმა შეიძინა 12 ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც „ცეკავშირმა“ მოიტანა ბათომიდან. ეს ოპერაცია სავსებით დამთავრებული არ არის. კომიტეტმა მისცა ფულათ 500 მილიონი, დანარჩენი ფული, რომელიც ერგებოდა მას ფულის მაგივრათ მივეცით ნებართვა საქართველოდან ნოხეულობის გატანისა უფასოდ. რა თქმა უნდა ეს ოპერაცია მაინცადამაინც ჩვენთვის არ იყო ხელსაყრელი. ეს უფრო ხელსაყრელი იყო „ცეკავშირისთვის“. მაგრამ მიუხედავათ ამისა რადგანაც სიმინდი უკვე მოტანილი იყო და ჩვენ კი მივესწრაფოდით დახმარებას და ამისთვის ჩვენ მივეცით ნებართვა. მთელი ღირებულება სიმინდის ორ მილიარდ მანეთს აღემატება. ჩვენ გადავიხადეთ მხოლოდ 500 მილიონი, დანარჩენი ავინაზღაურეთ ნებართვის მიცებით. თუმცა იმ მოგებისაგან, რომელიც მათ უნდა მიიღონ ამ ნოხების გატანით უბაჟოთ, მგონი ნახევარი, არ ვიცი კარგათ რამდენი, დეწვრილებით ამხ. ერქომაიშვილმა იცის (ამხ. ერქომაიშვილი ადგილიდან: 50 პროც.) ორმოცდა ათი პროცენტი უნდა გადასცენ დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს. რეალური დახმარება, გარდა იმისა, რაც ჩამოვთვალე, ჯერ-ჯერობით არ გაგვიწევია. მთელი სათესლე მასალა, რასაც არ უნდა შეადგენდეს ის, არის ფუნქცია მთავარი კომიტეტისა. ჩვენ ვიცით, რომ სათესლე მასალის მიწოდება უკვე სწარმოებს. ამისათვის მიღებულია ზომები, ზოგი უკვე მივიღეთ და კიდევ უდიდესი ნაწილი უნდა მოგვივიდეს. უნდა ვითხრათ, რომ ჩვენ გარდა სამასი ათასი ფუთი სიმინდისა, რომელიც ამ დღეებში უნდა მივიღოთ ბათუმიდან, მოგვივა სიმინდი განბურგიდან. ცნობა ამის შესახებ უკვე მივიღეთ, ტელეგრამა ამხ. ორჯონიკიძის მოსკოვიდან, რომ განბურგიდან უკვე გამოვიდა ერთი გემი დატვირთული სამასი ტონი ხორბლით. მეორე გემი უნდა გამოვიდეს ხუთასი ტონი ხორბლეულობით; ეს აღემატება ხუთას ათას ფუთს, ეს შეადგენს თითქმის 700.000 ფუთს. და თუ მართლა ეს მოგვივიდა და ეს მოგვივა, ვინაიდან უტყუარი ცნობებია მოსკოვიდან, უნდა მოვიდეს აპრილის ბოლო რიცხვებში. ეს რიცხვი ხორბლეულობისა თითქმის უზრუნველჰყოფს ჩვენ დამშეულ გლეხკაცობას. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო გადმოტვირთვას, დანაწილებას და დარიგებას მოუნდება რამდენიმე მილიარდი მანეთი. ასე რომ მარტო ხორბლეულობის შეძენას ჩვენ ვერ დავემყარებით და კიდევ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი და მეტი ჩვენი ძალების გამოყენება იმ მხრივ, რომ დახმარებისთვის შეგროვება ფულით იქნება ის თუ სხვა რაიმე ნივთებით, უსათუოდ გაძლიერდეს. თუ ეს არ გაძლიერდება ჩვენ უძლური ვიქნებით დაურიგოთ და დაუნაწილოთ ხალხს ის სურსათი, რომელიც, როგორც სჩანს ცნობებიდან აუცილებლათ უნდა მივიღოთ. ამისათვის ვაცხადებ, რომ ჩვენ არამც თუ არ შევასუსტოთ, არამედ გავიორკეცოთ ჩვენი ენერგია, რომ მოუტანოთ დახმარება საქართველოს დამშეულ გლეხკაცობას.

თავის თავად იგულისხმება, ამხანაგებო, რომ ჩვენ ვერ განვსაზღრავთ ფარგლებს ჩვენი მოქმედებისას მარტო საქართველოს დამშეულთა დახმარებით, ვერ განვსაზღვრავთ მარტო საქართველოს ფარგლებით. მართალია, განსაკუთრებული კომიტეტი არსებობს რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად, რომელიც მიკრულია ყირიმს, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შემოვფარგლავთ ჩვენ მოქმედებას მარტო საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ. ვინაიდან ჩვენ ვიცით როგორი მდგომარეობა არის რუსეთში და აგრეთვე კარად ვიცით ის, რომ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რუსეთის გლეხკაცობა უნდა იქნეს გამოყვანილი იმ უკიდურეს გაჭირვებიდან და ჩვენც ასე თუ ისე, მართალია, პატარა ძალით, მცირე დახმარებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უსათუოდ უნდა დავეხმაროთ მათ, ვისაც მეტი გაჭირვება აწევს. ეს არას დროს არ შეიძლება დავივიწყოთ.

ამითვათავებ ჩემ მოკლე მოხსენებას ამ საგნის შესახებ და ვიძლევი წინადადებას რაც შეიძლება მეტი ბრძოლა სიმშილის წინააღმდეგ და რაც შეიძლება მეტი ენერგია ჩვენი მრეწველობის და ჩვენი მეურნეობის აღსადგენად. ვაძლევ წინადადებას, როგორც საბჭოთა ხელისუფლებას, ისე პროფესიონალურ კავშირის ორგანიზაციებს, სხვა საზოგადობრივ ორგანიზაციებს, ყველა ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მეტი ენერგიით მოეკიდონ ამ საქმეს, გააძლიერონ, გააორკეცონ თავის მოქმედება, ვინაიდან სიმშილი მატულობს, სიმშილისაგან მსხვერპლი იზრდება, იმიტომ, რომ სურსათი უფრო ილევა, რამდენადაც ჩვენ მივდივართ წინ.

სანამ ახალი მოსავალი იქნება,—და ეს მოსავალი როგორი იქნება ჯერ ჯერობით ჩვენთვის დიდ ამოცანას შეადგენს,—ის დაუძლურებელი დაავადმყოფებული, დამშეული ხალხი, რომელიც მოკლებულია ამავე დროს ყოველგვარ ინვენტარს, როგორც ცოცხალს ისე მკვდარს—დაეცემა. რა თქმა უნდა, რომ ასეთ პირობებში კარგი მოსავალი რომ იქნეს—ვინ მომკის, ვინ გალეწავს, ვინ შეინახავს ამ მოსავალს, ამისათვის ენერგია, ყურადღება მათდამი არა თუ არ უნდა იქნეს შემცირებული, არამედ რაც შეიძლება იქნეს კიდევ მეტი გაძლიერებული და გაორკეცებული.

რასაკვირველია, მთავრობამაც უნდა ამოსწუროს მთელი თავისი საშუალება და წყაროები, ამ შემთხვევაში თვით საეკლესიო და სამონასტრო განძეულობის გამოტანამდე. ეს დადასტურებულ უნდა იქნეს და შესაფერისი ზომები მიღებული. აგრეთვე უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ საზოგადოების ფართო ელემენტებმა, რაც შეიძლება მეტი გაიღონ და ყოველგვარი მოქმედება ამ შემთხვევაში, როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ. საჭიროა, რომ შეძლებულმა ნაწილმა გაიღოს რაც შეიძლება მეტი და თუ ნებით არ გაიღებს, ყოველგვარი საშუალება უნდა იქნეს მიღებული, რა თქმა უნდა არა ისეთი, რაც გაუგებრობას და შეიძლება უკმაყოფილებასაც დაჰბადებს. აი ის, რაც მე მინდოდა აქ მეთქვა. და თუ ამ შემთხვევაში არის რაიმე გაუგებრობა და ან რაიმე კითხვა იქნება მე შემიძლიან პასუხი გავსცე.

(დასასრული იქნება)

თიანი ნატურალური გადასახადი მცხოვრებლებისათვის უფრო მისაღებია. მოსამზადებელი მუშაობა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება დაჩქარებით. დარიგებულია იანვრის და თებერვლის თვეების ულუფის უმთავრესი ნაწილები.

რაჭის მაზრა. გადასახადის აკრეფას შეუდგენ მარტში და დაამთავრეს მაისის ბოლოს. აღმასკომები დახმარებას უჩენდნენ. ძლიერ ძვირი ჯდებოდა ფუთის გადაზიდვა, რომელიც ქუთაისიდან ღირდა 100—120 ათასი მანეთი. მცხოვრებთათვის სიმინდის დარიგებამ და გადამხდელთა სიიდან ღარიბი გლეხების გამოტოვებამ მოახდინა მცხოვრებლებზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სამელიორაციო ამხანაგობანი.

7 თებერვალს 1922 წ. გამოქვეყნებულია საქართველოს მთავრობის მიერ ძლიერ საყურადღებო დებულება სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

საქართველოში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც შეუძლებელი არის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით მეურნეობის წარმოება. ასეთი ადგილებია: ჭაობიანი, ურწყავი. ჩვენი მდგომარეობის თვისებები განსაკუთრებულია: მათი დასაწყისია მაღალ მთებში, ხშირი მოვლენაა გაზაფხულზედ წყალ დიდობა, როდესაც მთიან მაღლობებზედ დნება თოვლი. წყალდიდობის შედეგია სოფლების, დახნულ-დათესილი მიწების განადგურება, წალეკვა. ჩვეულებრივ პირობებში ჩვენი მდინარეები, რომლებშიც წყალი დიდის სისწრაფით მიექანება, ხშირად ზიანს აყენებენ ნაპირებზედ მდებარე მიწებს, ნაპირებს ანგრევენ და აოხრებენ მდინარეების პირს მდებარე სოფლებს, მათი მეურნეობა მუდმივ განსაცდელშია, რადგან მდინარე ხშირათ გადმოდის ნაპირებიდან და გზა და გზა მეურნეობას აოხრებს.

ზარალი მეურნეობის უწყლობის, მდინარეების თვისებების გამო ძლიერ დიდია. უწყლობის გამო დიდი სივრცე მშვენიერი, ნოყიერი მიწების მეურნეობისათვის სრულიად იკარგება; ჭაობიანი ადგილები მძიმე ავადმყოფობას ავრცელებენ (ციებ-ცხელებას) და მეურნეობისათვის სრულიად იკარგება.

მცირე ცნობები საკმარისია დასახელებული დებულების დასამტკიცებლათ: ურწყავი მიწები ყარაიაზის ველის უდრის 121.149 დესეტინას, შირაქის—167000 დესიატინას; ფოთის ჭაობები არა ნაკლებ—40000 დესიატინა, სულ დღეს დაკარგული არის მეურნეობისათვის 328149 დესიატინა.

ურწყავი მიწები სხვაგანაც არის, მაგალითად, ტირიფონის ველი გორის მაზრაში. სულ რომ ვიანგარიშოთ ურწყავი და ჭაობიანი ადგილები, მივიღებთ საქართველოსათვის საშინელ რაოდენობას მიწებისას არა ნაკლებ 400000 დესიატინისა.

რას ნიშნავს ეს მდგომარეობა? აი რას ნიშნავს: მთელი დახნულ დამუშავებული მიწების რაოდენობა აღწევს 700000 დესიატინას, ამ რაოდენობიდან სრულიად უნაყოფო, სრულიად უსარგებლოთ რჩება არა ნაკლებ 46,8 პროც. დამუშავებული მიწების საქართველოში, სადაც მრავალი მთიანი და ტყიანი ადგილები არის, მეურნეობისათვის უვარგისი მიწების რაოდენობა ისეც ბევრია.

ეს ისეთი მიწებია, განსაკუთრებით მთიანი, რომ შეუძლებელი არის მეურნეობის წარმოება. ასეთ მიწებზედ მეურნეობის წარმოებას ეწინააღმდეგება თვით ბუნება და ადამიანს არ შეუძლია ასეთი პირობები გადალახოს, მოერიოს მას. ურწყავი და ჭაობიანი მიწები მეურნეობისათვის დაკარგულნი არიან იმ დრომდე, ვიდრე ამ მიწებზედ არ მოეწყობა მეურნეობა, რაც სრულიად შესაძლებელი არის. წარმოვიდგინოთ, რომ დღეს, მეურნეობისათვის უვარგისი მიწები იქნება მორწყული, ჭაობები ამოშრობილი—ეს 328000—400000 დესიატინა. ეს მიწები ძლიერ ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწებია. თითეული დესიატინა სულ იოლად მოგვცემს 80-90 ფუთს ხორბლეულობას. ეს ჩვენ უკვე ვიცით გამოცდილებით. უვარგისი მიწები, რომ მოეწყოს, წლიურათ მივიღებთ მცირე მცირე 26-32 მილიონ ფუთს ხორბლეულობას. ეხლანდელი წლიური მოსავალი შეადგენს 35-40 მილიონ ფუთს სხვა და სხვა ხორბლეულობას, ესეიგი დღეს უვარგის მიწებს ისეთი შესაძლებლობა აქვს მოსავლიანობის, რომ შეიძლება მიღებული იქნეს იმდენი დოვლათი, რამდენიც გვაქვს, მოსავლიანობის გაორკეცება სრულიად იოლი და შესაძლებელი საქმეა. მაშასადამე, ჩვენი მიწების, ჩვენი სიმდიდრის მოუწყობლობის გამო ყოველწლიურად ვკარგავთ რამდენიმე ათეულ მილიონ ხორბლეულობას. ყოველ წლიურად ჩვენ ხორბლეულობის ნაკლს განვიცდით: იმშევა ხალხი, იღუპება უიმისოთ მცირე რიცხვი ძვირფასი საქონლის. პურის ნაკლებობა, იძულებული ვართ შევავსოთ უცხოეთიდან შემოზიდვით. უცხოეთიდან შემოზიდული პური იყიდება ოქროზედ, ან უნდა გადიცვალოს ისეთ საქონელზედ, რომელიც ოქროს ბადალი არის. ჩვენ ოქრო არა გვაქვს, ჩვენი ძვირფასი ნედლი საქონელი მიდის პურის საფასურში; ჩვენი შეძლება ვერ სწვდება პურის მოთხოვნილებას. პურით უზრუნველყოფა ყოველწლიურად თავსამტვრევი საკითხია.

ჩვენ ყოველთვის ვიმეორებთ, რომ საქართველოში დიდი სივიწროვეა მიწების, არ არის საკმაო რაოდენობა მიწების. მიწების სივიწროვე კი არის შედეგი ჩვენი მეურნეობის დაქვეითების, გალატაკების. ჩვენი მეურნეობა ზარალიანია. ამ მდგომარეობას თავი უნდა დავახწიოთ. საქართველო მდიდარია, მაგრამ ეს სიმდიდრე მკვდრად არის ქცეული, გამოსავალი უნდა მოიძებნოს, გამოსავალი არის. ურწყავი მიწები შეიძლება მოირწყას, ჭაობიანი ადგილების ამოშრობა შეიძლება, მდინარეების ნაპირების გამაგრებაც მოსახერხებელია. ძველათ ამ საქმეს უვლიდნენ: ურწყავ ადგილებზედ დღესაც არის ისეთი ნაშთები ძველი დროიდან გადარჩენილნი, რომლებიც გვაუწყებენ წარსულის შესახებ; ურწყავ ადგილებზედ იყო მოწყობილი არხები, გადიოდა წყალი; დროთა ვითარების გამო ძველი მოწყობილობა დაინგრა, ეხლა უნდა შეუდგეთ მის აღდგენას.

გამოსავალი მდგომარეობიდან ორი სახის არის: 1) მთავრობამ უნდა იკისროს უვარგისი მიწების გარდაქმნა, მეურნეობისათვის მოწყობა. მთავრობა ასეთ მუშაობას ეწევა, მაგრამ მთავრობის ხარჯით ყველაფრის მოგვარება ძლიერ ძნელია, ვინაიდგან ამდენი სახსარი მას არა აქვს. გარდა ამისა მთავრობამ უნდა მოაწყოს სხვა დარგები მეურნეობის, რომლებიც უფრო უნუგეშო მდგომარეობაში არის, 2) საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაუწიონ თანამშრომლობა მთავრობას, გაინაწილონ შრომა მეურნეობის აღდგენის საქმეში, სადაც და რამდენათაც შესაძლებელი არის თავისი პირადი მონაწილეობით, შრომით, იარაღით, საქონლით ფულით. უვარგისი მიწების აღდგენა, მეურნეობისათვის მათი მოწყობა ანუ მელიორაცია სრულიად შესაძლებელი არის ხალხის, მეურნეების პირდაპირი მონაწილეობით.

მთავრობა ამ გზას დაადგა. გამოქვეყნებული დებულება სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსების შესახებ ამ მოსაზრებაზედ არის აშენებული. დებულებაში მეტიც არის. მთავრობა ამ დებულების ძალით ცდილობს ხალხის, მეურნეების, მიწის მესაკუთრეების შემოქმედება გამოიწვიოს. იგი აძლევს უფლებას სხვა და სხვა გვარი მიწის მესაკუთრეებს: კერძო პირები არიან თუ საზოგადოებანი, ამხანაგობანი, რომლებიც მიწებით სარგებლობენ, პირდაპირ ჩაებან მელიორაციის საქმეში. მელიორაციის მოსაწყობათ მთავრობა აძლევს უფლებას მიწის მესაკუთრეებს, რომლებიც საჭიროებენ მიწების გაუმჯობესებას, შეერთდენ, შექმნან ამხანაგობანი და შეერთებული ძალებით მორწყონ მიწები, ამოაშრონ ჭაობები, გაამაგრონ მდინარეების ნაპირები. სადაც მიწები მორწყულია, სადაც მდინარეების ნაპირები გამაგრებულია (ასეთი ადგილები სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტაა), მოუარონ მას რაც უკვე გაკეთებულა და გაოხრებისაგან გადაარჩინონ.

ს. ავალიანი.

(დასასრული იქნება).

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად.

ყველა რაიკომებს.

რაიონების შორის პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა მიზანშეწონილათ განაწილებისათვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტმა გადასინჯა და დაამტკიცა ქვემოდ მოყვანილი მიმაგრება პასუხისმგებელ ამხანაგებისა:

1-ლ რაიონზე.

1. ს. ორჯონიკიძე, 2. ფილიპე მახარაძე, 3. ბუდუ მდივანი, 4. სერგეი ქავთარაძე, 5. თედორე კალანდაძე, 6. ჟორჟკაშვილი, 7. საბაშვილი, 8. ვირაპი, 9. ივანოვ-კავკასკი, 10. სევასტი თალაკვაძე, 11. მეავანაძე და 12. გინსბურგი.

მე-2 რაიონზე.

1. მამია ორახელაშვილი, 2. ბახუტოვი, 3. გაუსმანი, 4. ნ. ამირაგოვი, 5. მარიამ ორახელაშვილი, 6. ფრანგულიანი, 7. შავერდოვა, 8 გალაქტიონ ვაშაძე, 9. ნინა ოკუჯავა, 10. მარიამ ეგიკოვა, 11. ტრაპაიძე, 12. ჩოდრიშვილი მიხა, 13. ალ. სარალიძე, 14. ვასილ კანდელაკი, 15. იობიძე, 16. ალ. კოპოლაძე, 17. ერქომაიშვილი, 18. კუჭაიძე, 19. ბენედიქტე კალანდაძე, 20 სვანიძე, 21. ანდრეევი, 22. ერისთავი, 23. ცეიტლინი, 24 ყურულაშვილი.

მე-3 რაიონზე.

1. მიხეილ ოკუჯავა, 2. ნარიმანოვი, 3. მიასნიკოვი, 4. ტალიშლი, 5. იაგუბოვი, 6. არუთუნ სოლოვიანი, 7. რუდაკოვი, 8. სურენ ერზიკიანი, 9. ალავარდიანი, 10. ხაჯაპურიძე, 11. სიმონ ჩიხლაძე, 12. ვარდანიანი ფლორა, 13. რასულ-ზადე, 14. თეიმურ ალიევი, 15. გოლუბევა, 16. ატარბეკოვი.

მე 4 რაიონზე.

1. შალვა ელიავა, 2 კოტე ცინცაძე, 3. თოდრია, 4 ტოროშელიძე, 5. კახიანი, 6. რუბენი, 7. კანდელაკი, 8. სოკოლოვსკი, 9. გეგეჭკორი, 10. ბიბინეიშვილი, 11. მ. ესენი, 12. გასვიანი, 13 ა. ესენი, 14 ზავარიანი, 15. კაკალეიშვილი, 16. დონენკო, 17. პანტურია, 18. მოგილევსკი, 19. ავაკოვი, 20. ნიკოლოზ ოკუჯავა, 21. სანდრო თუმანოვი, 22. ტაკოევი, 23. კვირიკაძე, 24. დუმბაძე, 25. ილია წივწივაძე, 26 ოდილავაძე, 27. ნიკო კიკნაძე, 28. ჯულელი, 29. ნუცუბიძე, 30. კიკნაძე (რედაქტ). 31. რუხაძე, 32. მამულაიშვილი, 33. რაჟდენ კალაძე, 34. მიხაილოვი, 35. კოლომიიცევი, 36. ტანდიტი.

1. ეს მიმაგრება ხდება 2 ნახევ. თვით (1 სექტემბრამდე). 2. ყველა ჩამოთვლილი ამხანაგები საბოლოოდ არიან მიმაგრებულნი აღნიშნულ რაიონზე, ასრულებენ იქ ყველა თავის პარტიულ მოვალეობათ და სათანადო რაიონს ანგარიშზე ჰყავს იგი აყვანილი.

შენიშვნა რაიკომები, როგორც ამას საჭიროდ დაინახავენ იმგვარად იყენებენ ამხანაგებს, ან იაჩეიკებში ანდა საერთო სარაიონო მუშაობისათვის.

3. მიმაგრებული ამხანაგები პრაქტიკულ მუშაობაში ხელმძღვანელობენ თბილისის კომიტეტის ცირკულიარით № 152.

4. მიმაგრებული ამხანაგები ეწევიან მუშაობას არა მარტო პარტიულ კრებებზე (იაჩეიკებში, საზოგადო კრებებზე, დელეგატების კრებებზე და სხვ.), არამედ უპარტიო კრებებზეც წარმოებებში და დაწესებულებებში (მიტინგებზე, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, უპარტიოთა კონფერენციებზე და სხვ.)

რაიკომები ვალდებულნი არიან გამოიყენონ მიმაგრებული ამხანაგები ყოველდღიური სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობისათვის და არ მიმართონ ყოველ თვითეულ შემთხვევისათვის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას.

5. თბილისის კომიტეტის მიერ დაწყებულ კამპანიას ატარებს თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, რომელიც ანაწილებს პასუხისმგებელ ამხანაგებს კამპანიის ჩასატარებლად იმგვარად, როგორც ის ამას საჭიროდ დაინახავს და რომლის დროსაც ის აღნიშნულ მიმაგრებას იღებს მხედველობაში.

მდივანი—**კახიანი.**

საორგან. განყოფ. გამგე—**რუბენი.**

საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე—**მ. ესენი.**

—

ხარაგოულის რაიონი.

ა. წ. 2 ივნისს რაიკომის დარბაზში შესდგა ხარაგოულის ორგანიზაციის საერთო კრება. კრებას დაესწრო შორაპნის სამპარტკომის მდივანი ამხ. კუპატაძე და ც. კ წარმომადგენელი ამხ. ს. ღამბაროვი. ვისარგებლეთ შემთხვევით და ამხ. გამბაროვს დავავალეთ გაეკეთებია მოხსენება გენუის კონფერენციაზე. ამხ. ღამბაროვმა გააკეთა ვრცელი მოხსენება და აღწერა თავის თემა გასაგებ ენაზე, რის შემდეგაც იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. ღამბაროვის მოხსენება გენუის კონფერენციის და მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ, ხარაგოულის ორგანიზაციის საერთო კრება ესალმება საბჭოთა დელეგაციას, რომელიც ასე მედგრად იცავდა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს—მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ მიუხედავათ ბურჟუაზიის აგენტების მე-2-რე და 2 ნახევ. ინტერნაციონალის მეთაურების ღალატისა, მსოფლიო პროლეტარიატი შეკრავს მე 3 მე კომუნისტურ ინტერნაციონალთან საერთო რევოლიუციონურ ფრონტს და ახლო მომავალში გადავა ძლევა-მოსილ შეტევაზე საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა ფრონტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა დელეგაციას!

ნ. ბლუაშვილი.

—

დუშეთის მაზრა.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში, ე. ი. აპრილში და მაისში, პარტმუშაობას ეტყობა საკმაო გამოცოცხლება, ორგანიზაციული აპარატის გაჯანსაღება; გაბმულ იქნა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მჭიდრო კავშირი და სხ.

ამ ორ თვის განმავლობაში მოხდა სამაზკომის პლენუმის სხდომა ექვსჯერ, პრეზიდიუმის ექვსჯერ, რომელზედაც გარჩეულ იქნა: საორგანიზაციო, პარტიულ ხასიათის კითხვები—28, პროფესიონალური—1, სხვადასხვა—2. მთელი თავისი ყურადღება პარტკომმა მიაქცია საორგანიზაციო კითხვებს ვინაიდან პარტიული ამხანაგები სრულებით არ იყვნენ აღრიცხვაზე აყვანილი, ამისთვის პარტკომმა ამ საკითხებს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. ამ მიზნით დაგზავნა რაიონებში 5 თი პასუხისმგებელი ამხანაგი. რეგისტრაცია დამთავრებულია 6 ს რაიონში და აღდგენილია დაშლილი კომუჯრედები. რაიკომების აპარატი იქნა გაჯანსაღებული მომზადებული ამხანაგების. დანიშვნით. სამწუხაროთ, სოფლებში არ არის საკმარისი ძალა პოლიტიკურათ მომზადებულ ამხანაგებისა კარგად ჩატარდა 1-ლი მაისი. ამ დღეს ქ. დუშეთში იქნა გახსნილი დიდი ზეიმით ძეგლი ფრ. ენგელსისა და საბავშვო ბაღი. „ფილიპე მახარაძის“ სახელობაზე გარდა 1-ლ მაისისა ჩატარებულ იქნა მაზრის ფარგლებში ლენის მუშების დახვრეტის ათი წლის თავი და პროფკავშირების კვირა.

ქალთა შორის მუშაობა მაზრაში სუსტათ არის დაყენებული. მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ქალაქში. სამაზკომმა გადაწყვიტა ქალთა კვირის ჩატარება მაზრაში, მაგრამ ძალთა უყოლობის გამო ცხოვრებაში ეს ვერ გატარდა. ქალთა კრება აპრილ-მაისის განმავლობაში მოხდა მხოლოდ ორჯერ.

სამაზკომს აქვს შემდეგი გეგმა თავისი მომავალი მუშაობის:

1. ვინაიდან პარტიის გაწმენდა მაზრაში მოხდა მხოლოდ ნაწილობრივათ, ამისათვის გაწმენდა ახლო მომავალში უნდა იქნეს დასრულებული. შედგარია გამწმენდი კომისია ამხ. ლაფანაშვილის თავმჯდომარეობით. კომისია შეუდგა მუშაობას 23 მაისს და დაამთავრებს ერთი თვის განმავლობაში.

2. რაიკონფერენციების და სამაზრო კონფერენციის ჩატარება.

3 სამაზრო პარტსკოლის გახსნა.

4. წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პარტამხანაგებს შორის და სხვები.

საჭიროა ცენტრის მხრივ მეტი ყურადღება მიექცეს მაზრას, რათა გაუადვილდეს პარტკომს დასახული მიზნების განხორციელება.

ურთი-ერთ შორის განწყობილება სამაზკომისა და კავშირების შორის კარგია, უკანასკნელს აქტიურ დახმარებას უწევს სამაზკომი.

საერთო მდგომარეობა მაზრის კარგია. ბანდიტიზმი ძირიან ფესვიან ამოთხრილია: მაზრა სიწყნარეს და სრულ სიმშვიდეს განიცდის. სიმშილობა არის. დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან ამ მოკლე ხანში მიღებულია სამი ვაგონი ხორბალი.

თესვის კამპანია ჩატარდა ნაყოფიერათ. მთავრობის დახმარება სათესლე მასალით—13 ვაგონი—ფრიად საგრძნობი იყო, რის გამო დიდძალი ადგილები იქნა დათესილი. **მოსავლის პირი დიდებულია. გამოცდილ გლეხების სიტყვით ასეთი ტანის პური არას დროს არ ყოფილა.**

მაზრის გლეხობის სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ არის. არავითარ პროვოკაციულ ჭორებს, რომელსაც უხვათ სთესვენ ჩვენი მტრები, გლეხები მხარს არ უჭერენ, პირიქით მტკიცეთ დგანან საბჭოთა სისტემის ნიადაგზე არამც თუ გამოსვლებს, არამედ გამოსვლების ხსენებასაც არ ქონია ადგილი მაზრაში.

წარმოებითი პროფკავშირები

ფოთის სამაზრო პროფესიონალურ ბიუროში.

მუშაობა ამ ჟამად მიმდინარეობს ნორმალურად. სატარიფო საეკონომიო განყოფილებას დაწყებული აქვს კოლექტიური ხელშეკრულების დადება სამეურნეო ორგანოებთან. მოხდა კონფლიკტი საზოგადოება „ჩემო“ ს და მტვირთავებს შორის, რომელიც ეხლა მოსპობილია.

კულტურულ განყოფილების მუშაობა სუსტია მტვირთავები და წყლის კავშირის მუშები ერთდებიან; მათთვის იხსნება სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. სულ წერაკითხვის უცოდინარი 7 კავშირში ითვლება 37 კაცი. კლუბი ჯერ ჯერობით ბინის უქონლობის გამო არ არის გახსნილი, ამ ჟამად ბინა უკვე გამონახულია, მაგრამ ფინანსების კრიზისის გამო, კლუბის გახსნა მაინც მოუხერხებელია. საერთო მდგომარეობა ფოთის მუშების და მოსამსახურების დამაკმაყოფილებელია სახალხო განათლების მუშაკთა გამონაკლისით. მასწავლებლების მდგომარეობა ცუდია, ვერ ღებულობენ ჯამაგირს რამოდენიმე თვისას.

ქუთაისის სამაზრო პროფესიონალურ ბიუროში.

ბიურო შესდგება 5 კაცისაგან. იანვარში შემდგარ კონფერენციის შემდეგ, პროფესიონალურ მუშაობას ფაქტიურად აწარმოებდა 3 ამხანაგი, 2 დანარჩენი იყვნენ პარტიულ სამუშაოზე. მაისში ჩატარებულ იქნა პროფმოძრაობის ორკვირეული.

მაზრებში მუშაობა სუსტად არის დაყენებული საშუალებათა უქონლობის გამო. კულტურული მუშაობა აღწევს ზოგიერთ შედეგებს. გახსნილია სკოლა საღამოობით სამაცადინოდ, რომელსაც ესწრება 30 კაცი. მოწყობილია კულტაჩეიკები სადაც ყოველდღე ხდება კრებები. შრომის დაცვის განყოფილება უკვე გადავიდა შრომის განყოფილებაში. სატარიფო საეკონომიო განყოფილებამ დასდვა კოლექტიური ხელშეკრულება ტყავის ქარხნებთან, თამბაქოს და ხე-ტყის ქარხანასთან.

მუშა მოსამსახურეთა საერთო მდგომარეობა მძიმეა, უმთავრესად კი მასწავლებლების, რომლებიც არ ღებულობენ ჯამაგირს და ულუფას ექვსი თვის განმავლობაში.

პროვინციაში

ტყიბული

6 ივნისი განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყიბულის მაღაროების მუშამოსამსახურეთა ცხოვრებაში; სწორედ ამ დღეს გვეწვია საქ. კომ. პარტიის ც. კ. წარმომადგენელი ამხ. ბესო კვირკელია. მის მოსვლას სიხარულით შევეგებეთ ამხანაგები და მოუთმენლად ველოდებოდით იმ დროს, როდესაც ამხ. ბესო გაგვიკეთებდა მოხსენებას ჩვენი რესპუბლიკების საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. ამავე დღეს საღამოს 4 საათზე მოწვეულ იქნა მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება ადგილობრივ მუშათა კლუბში; კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. ამხ. ბესოს გამოჩენას დარბაზში ტაშის-ცემით ეგებებიან ამხანაგები და ოვაციებს უმართავენ.

მიტინგს ხსნის ამხ. პ. ტყაბლაძე და ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ბესოს, რომელიც დაწვრილებით, მკაფიოდ და მუშისათვის გასაგებათ ხსნის თუ რამ აიძულა ბურჟუაზიული ანტანტა მიეწვია საბჭოთა ფედერაცია გენუის კონფერენციაზე, როგორი მოთხოვნილება წამოგვიყენეს იქ და როგორ ხაზს დაადგა ჩვენი დელეგაცია. შემდეგ ის შეეხო ჰააგის თათბირს და ხაზგასმით დაასურათა საბჭოთა ფედერაციის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მის საბოლოო სიტყვას კვლავ მოყვა მხურვალე ტაშის ცემა და „ინტერნაციონალის“ ჰიმნი.

მოხსენების ირგვლივ იყო შეკითხვები, რომლებზედაც შესაფერი პასუხი გასცა ამხანაგმა. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მიტინგი დახურულად გამოაცხადა და ამხ. ბესო გაემგზავრა რაჭისკენ.

ეტყობოდა, რომ ამხ. მუშები სიხარულს გრძნობდენ, როდესაც თავის თვალწინ ხედავდენ საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წარმომადგენელს.

სასურველია ასეთი ამხანაგების უფრო ხშირი მოსვლა ცენტრიდან.

იაგო.

—

შორაპანი

ივნისის 3 ს შესდგა შორაპნის მუშათა კლუბში კვანძის მუშა მოსამსახურეთა და შავი ქვის დამტვირთავი მუშების საერთო კრება. კრება გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული შორსამპარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. ვ. კუპატაძე. დღის წესრიგში იდგა საკითხი გენუის კონფერენციის და ერთიანი ფრონტის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. გამბაროვმა, რომელმაც დაახასიათა ევროპის კრიტიკული მდგომარეობა, ანტანტის კრიზისი და ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ანტანტის სახელმწიფონი მოეწვიათ გენუის კონფერენცია და გენუის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობა, ნათლად აღნუსხა გენუის კონფერენციის მუშაობა, საბჭოთა დელეგაციის პოზიცია კონფერენციაზე და კონფერენციის შედეგები. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გამბაროვისა გენუის კონფერენციის და მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ, ვცნობთ საბჭოთა დელეგაციის პოზიციას კონფერენციაზე სწორათ და მიზანშეწონილათ, რომლის შედეგი არის ბრწყინვალე გამარჯვება საბჭოთა ფედერაციისა კონფერენციაზე; ეს გამოიხატება გერმანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში, ანტანტის ფაქტიურ დაშლაში და უდიდეს მორალური ხასიათის გამარჯვებაში, რაც აშკარაა საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ საბჭოთა დელეგაციისთვის მხურვალე თანაგრძნობაში. მიესალმება რა საბჭოთა სახელმწიფოების ამ გამარჯვებას, შორაპნის რკინის გზის და შავი ქვის მუშათა გაერთიანებული კრება ზიზღს უცხადებს [illegible] ორ ნახევარ [illegible] ბელადებს და მსოფლიო მენშევიზმს, რომელიც, ეწინააღმდეგება რა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას, ეხმარება სასიკვდილოთ განწირულ ბურჟუაზიას. გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის გამარჯვება და დამარცხება ინგლის-საფრანგეთის დელეგაციათა მომასწავებელია მსოფლიო ბურჟუაზიის საბოლოოთ დაუძლურებისა და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთს შეხვდება არა ლლოიდ ჯორჯ პუანკარეები არამედ რევოლიუციონური პროლეტარიატის წინამძღვრები.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა ფედერაციას!

კრების თავმჯდომარე ვ. კუპატაძე.

სარედაქციო კოლეგია

ღრმად დამწუხრებულნი ანა ივანეს ასული, ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე ყიფიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 თიბათვეს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი რძალი

სოფიო პეტრეს ასული სარაჯიშვილი-ყიფიანისა.

პანაშვიდები ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე (ახ. დ.) დაკრძალვა, ხუთშაბათს 15 თიბათვეს წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე წირვის შემდეგ. წირვა ქაშვეთის ეკლესიაში.

1—1

გაზეთის ტრესტი

საექსპედიციო განყოფილება

რუსთაველის პროსპ. № 24

საჭიროა კონტრაგენტი გაზეთების გასავრცელებლად თელავში, ქათურაში, ბორჯომში და მის რაიონებში. (5—2)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად ოლქის განკარგულებისა, ამა თიბათვის 20-დან სახ. კომისარიატებს, საბჭოთა და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და სხვ., გამონაკლისის დაუშვებლად, ყოველგვარი რკინის გზათა ხვედრი ხარჯი გადახდებათ ნაღდ ფულად, ან იმისთანა ჩეკებით, რომელთა უზრუნველსაყოფად რკინის გზათა სალაროში წინადვე იქნება შემოტანილი საკმარი ფული.

აცხადებს რა ამას, რკინის გზათა სამმართველო სთხოვს ყველა დაწესებულებას, რომელსაც აქვს მიღებული ჩეკის წიგნაკები, დროზე შემოიტანოს სალაროში ამ წიგნაკების უზრუნველსაყოფად ხვედრი ფული, რათა 20 თიბათვის შემდეგაც შეეძლოთ ჩეკებით სარგებლობა, რადგან, თიბათვის 20-დან რკინის გზა ტვირთს ნისიად აღარ ზიდავს და ჩეკების წიგნაკები, რომელთა უზრუნველ-საყოფად წინადვე არ იქნება შემოტანილი ფული, გაუქმებული იქნებიან. (3—1)

განცხადება

ხუთშაბათს, 15 ივნისს, საქართველოს წითელ ლაშქრის კლუბში (ყოფილი ქართული კლუბი) საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი

მართავს გრანდიოზულ საღამოს,

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

ფართო პროგრამით.

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები: **ბლიუმენტალ-ტამარინი, ლაშჩინი, სარაჯიშვილი, გრიშაშვილი და სხვები.**

იასე ანდრონიკაშვილის მიერ დადგმული იქნება **ბალეტით.** აგრეთვე მონაწილეობას იღებენ პეტროგრადის სახელმწიფო ბალეტის მსახიობნი—**ბალშაკოვა და პონომარიოვი.**

ბალში მოწყობილი იქნება მხოლოდ ამ დღისთვის „ლოტო“ პრიზით—

15.000.000 მან.

წარმოდგენის შემდეგ ვახშამი. მაგიდები უფასოა. ბალში შესასვლელი ბილეთი—50.000 მან. წარმოდგენის ბილეთის მქონე ბალში შესასვლელად არაფერს არ იხდის. არავითარი აუქციონი არ იქნება.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები კასაში.

საღამოს დიასახლისები: **ნ. პ. მახარაძისა, მ. ხვანიძისა.**

1—1

სახალხო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ იგი ახლო მომავალში გამოსცემს თავის ფულის ვალდებულებებს

100.000,-500.000,-1.000.000, და 5.000.000

ღირებულებისას, რესპუბლიკის ფარგლებში

ფულის ტრიალის და თავის კლიენტებთან ანგარიშის გასწორების გასაადვილებლათ.

ბანკის ვალდებულებანი იქნებიან უზრუნველყოფილნი ქართულ ბონების თანაბარ თანხით განაღდებულნი

პირველ მოთხოვნილებისამებრ.

როგორც სახალხო ბანკში, ისე მის განყოფილებებში.

ბანკის ვალდებულებათა მიღება არ იქნება სავალდებულო ყველა მოქალაქესათვის, გამოცვლა კი მათი ქართულ ბონებზე და ბონებისა ვალდებულებებზე მოხდება ბანკის მიერ სრულიად დაუბრკოლებრივ, როგორც ბანკის კლიენტებისათვის, ისე ყველა პირთათვის, ვინც კი წარუდგენს ბანკს აღნიშნულ ვალდებულებას.

ბანკის გამგეობა.

4—4

ტირაჟი 10,000.

ნ. დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.